მენორა

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1993 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲘᲓᲐᲜ

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

Ა�პᲠᲘᲚᲘ (ᲘᲐᲠᲘ) №4 (378) (5773) 2013

"מנורה" עיתון יהודי בגורגיה

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ Ბ-ᲜᲘ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ „ᲛᲔᲜᲝᲠᲐᲡ“ 20 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ ᲣᲚᲝᲪᲐᲕᲡ

ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲛᲔᲜᲝᲠᲐᲡ“ ᲛᲔᲡᲕᲔᲣᲠᲔᲑᲡ

ᲛᲘᲜᲓᲐ ᲒᲣᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲣᲚᲘᲗ ᲛᲝᲒᲘᲚᲝᲪᲝᲗ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲛᲔᲜᲝᲠᲐᲡ“ ᲓᲐᲛᲐᲐᲠᲡᲔᲑᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲡᲕᲔᲣᲠᲔᲑᲡ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ 20 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲒᲘᲡᲣᲠᲕᲝᲗ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘ.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲔᲑᲠᲐᲔᲚ ᲮᲐᲚᲮᲗᲐᲜ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲡᲐᲣᲙᲣᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ ᲒᲕᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲡ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲔᲑᲛᲐ — ᲐᲛ ᲝᲠᲛᲐ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲛᲐ ᲔᲠᲛᲐ — ᲜᲓᲝᲑᲐᲖᲔ, ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲖᲔ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲘ ᲛᲘᲡᲪᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ.

ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲛᲐ �გᲐᲛᲝᲡᲪᲐᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ �გᲐᲓᲐᲐᲯᲐᲭᲕᲐ ᲓᲐ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ �გᲐᲮᲐᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲔᲡ ᲙᲘ ᲛᲝᲡᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲓᲐᲡᲐᲤᲐᲡᲔᲑᲔᲚᲘ.

ᲐᲛᲘᲢᲝᲛ, ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ, ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐᲡ ᲔᲮᲔᲑᲐ.

ᲐᲒᲔᲠ ᲣᲙᲕᲔ ᲝᲪᲘ ᲬᲔᲚᲘᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲙᲚᲔᲑᲘᲐ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ �გᲐᲮᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗ ᲮᲘᲓᲐᲓ ᲘᲥᲪᲐ.

ᲛᲯᲔᲠᲐ, ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲛᲔᲜᲝᲠᲐᲡ“ ᲛᲔᲡᲕᲔᲣᲠᲔᲑᲘ ᲙᲕᲚᲐᲕᲐᲪ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲨᲣᲠᲔᲑᲗ ᲫᲐᲚᲘᲡᲮᲛᲔᲕᲐᲡ ᲘᲛ ᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲡᲐᲬᲧᲝᲑᲐᲓ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ ᲰᲥᲕᲘᲐ.

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ ᲒᲘᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ.

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

№12517
8.04.2013

Главному редактору Газеты ,,Менора,,
Члену Генерального совета Евроазиатского еврейского конгресса Гураму Батиашвили

04. 2013

От души поздравляем руководителей и сотрудников газеты ,,Менора,, с 20-летием издания!

,,Менора,, уверенно шагнула в третье тысячелетие, оставаясь важнейшим информационным еврейским изданием Грузии, что, по сути, является исполнением заповеди сохранения единства еврейского народа. Газета разносторонне освещает еврейскую жизнь не только в Грузии, но и во всем евразийском регионе, не оставляя своих читателей без знания о том, каковы главные события, занимающие еврейский мир.

За два десятилетия газета приобрела свое оригинальное лицо, большую и благодарную аудиторию. Это было достигнуто, благодаря подлинному подвижничеству руководителей еврейской общины Грузии и творческого коллектива сотрудников во главе с замечательным писателем и ярким общественным деятелем Гурамом Батиашвили.

Наш добрый друг и незаменимый коллега Гурам Батиашвили встречает свое 75-летие в расцвете творческих сил и созидательной энергии. Мы желаем ему здоровья и удачи! И – до 120-ти!

Мы желаем коллективу редакции газеты ,,Менора,, творческого долголетия, растущего круга читателей и как можно больше хороших и нужных новостей.

Вадим Шульман, президент

Михаил Членов, генеральный секретарь

Иосиф Зисельс, председатель Генерального совета

Александр Барон, член Президиума

Роман Спектор, руководитель Департамента по связям с общественностью и СМИ

ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲛᲔᲜᲝᲠᲐᲡ“ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ ᲕᲔᲑ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ WWW.MENORA.GE

კოჰელეთ

ამ დღეებში — 2013 წლის 7 აპრილს — ნისან ბაბალიკაშვილს 75 წელი შეუსრულდებოდა. სიცოცხლის 48 წელი განუსაზღვრა ბედისწერამ; თავისმა საკუთარმა წერამ (ნაწერმა) კი — განუსაზღვრელი წლები — მარადისობა. ამ საკუთარიდან განსაკუთრებულია საკრალური ტექსტების თარგმანები.

ვალტერ ბენიამინი თარგმანს მოიაზრებს, როგორც ორიგინალის სიცოცხლის სიჭარბეს, რომ ორიგინალის სიცოცხლე თარგმანებში კიდევ უფრო მეტად იფურჩქნება. „ყველა ტექსტებიდან...., რომლებშიც აზრი აღარ არის წყალგამყოფი ენის ნაკადსა და გამოცხადებას შორის, მხოლოდ წმინდა წერილია.... აქ სიტყვასიტყვითი (ბნკარედული) თარგმანი ეკუთვნის ჭეშმარიტ ენას... ყველა დიდი ტექსტი — და სხვაზე მეტად წმინდა წერილი — სტრიქონებს შორის შეიცავს თავის პოტენციურ თარგმანს. წმინდა წერილის თარგმანი ყოველგვარ თარგმანთა პირველსახე ან იდეალია“.

ამ აზრის ბრწყინვალე გამოხატულებაა ბიბლიური ტექსტების ნისან ბაბალიკაშვილისეული თარგმანები: იერემიას გოდება; კოჰელეთ (ეკლესიასტე); იონა (ასევე შ. აგნონის მტერი? მოყვარე!). ამ სიას არ უნდა დავაკლოთ მისივე გამოუქვეყნებელი ბნკარედები (ანუ „ჭეშმარიტი ენა“) შუა საუკუნეების ებრაელი პოეტების ტექსტებისა, რომელთა მხატვრული ინტერპრეტაციები უკვე ჯემალ აჯიაშვილის არტისტული კალამით (კ/ალამით) გამოჩნდა. აქ გთავაზობთ ნისან ბაბალიკაშვილის ქართულ კოჰელეთს.

შოთა ბოსტანაშვილი

1. სიტყვანი კოჰელეთისა, ძისა დავითისა, მეფისა იერუსალიმისა.
2. ამაოება ამაოებათა, თქვა კოჰელეთ, ამაოება ამაოებათა, ყოველივე ამაო.
3. ადამიანს რას ჰმატებს შრომა, რომელსაც იგი მზის ქვეშ ეწევა?
4. თაობა მიდის, თაობა მოდის, ეს ქვეყანა კი უცვლელია უკუნისამდე.
5. აღმოხდება მზე და ჩადის იგი, უბრუნდება თავის ადგილს და კვლავ იქიდან ამობრწყინდება.
6. სამხრეთისაკენ მიჰქრის ქარი, გაბრუნდება ჩრდილოეთისკენ; ბრუნავს, ბრუნავს, მიჰქრის ქარი და უბრუნდება ისევ თავის წრეს.
7. ყველა მდინარე ზღვებისაკენ მიედინება, ზღვა კი მაინც არ აღივსება; საითაც მდინარენი მიედინებოდნენ, კვლავაც იქითკენ მიედინებიან.
8. უძლურია სიტყვა ყოველი; არ ძალუძს კაცს ყოველივეს თქმა. ვერ გაძღება თვალი ხედვით, ვერ აღივსება ყური სმენით.
9. რაც ყოფილა — იგივ იქნება და რაც მომხდარა — იგივ მოხდება: არაფერია მზის ქვეშ ახალი.
10. ნახავენ რასმე და იტყვიან: „აჰა, ახალი“. — ესეც ყოფილა ჩვენს წინარე საუკუნეში.
11. არ დარჩენილა ხსოვნა იმათი, ვინც წინათ იყო: და მომდევნოთაც, ვინც იქნებიან, არ გაიხსენებს მიმყოლი მათი.
12. მე, კოჰელეთ, მეფე ვიყავ ისრაელისა იერუსალემს.
13. ვიწყე კვლევა გულმოდგინებით, გონებით განსჯა ყოველივესი, რაიც მომხდარა ცისქვეშეთში; ეს ავი საქმე მიუჩინა უფალმა კაცსა თვის თავისავე სატანჯველად.
14. განვიცადე ყოველი საქმე, რაც კი მომხდარა მზისქვეშეთში. და აჰა, ვცანი: ამაო არის ყველაფერი და ქარის დევნა.
15. გამრუდებულს ველარ გამართავ. ხოლო ნაკლულს ველარაფრით ველარ შეავსებ.
16. ვუთხარი ჩემს თავს: „ჰა, მოვიპოვე და განვიმრავლე ცოდნა ყოველთა უპირატესად, ვინც არსებულა ჩემზე ადრე იერუსალემს, და ეზიარა გონება ჩემი განუზომელ სიბრძნეს და ცოდნას.
17. როცა მივაპყარ გულისყური, შევიცან სიბრძნე, მეცნიერება, უმეცრება და სისულელე, მივხვდი — ამასაც არა აქვს აზრი.
18. რამეთუ როცა დიდია სიბრძნე, დარდიც დიდია; მრავლის შეცნობა ადამიანს წუხილს უმრავლებს.

II

1. ვუთხარი ჩემს თავს: მოდი, გამოვცდი მხიარულებას და მივეცემი სიამეთა — და აჰა, ესეც ამაოება ყოფილა მხოლოდ.
2. მივხვდი — გართობა ფუჭი საქმეა, მხიარულება რის მაქნისია?
3. ვიფიქრე, ღვინით დამებანგა ჩემი სხეული, ხოლო გონებას სიბრძნით ეფხიზლა, — დავდგომოდი გზას სიბრიყვისას, ვიდრე ვნახავდი, რა სიკეთეა კაცთათვის მასში, რასაც იქმნიან ცისქვეშეთში, სანამ ცოცხლობენ.
4. ვქმენ საქმე დიდი: ავიგე სახლნი, ვახარე ვაზი,
5. გავიშენე ბაღნი, წალკოტნი, დავრგე ხეხილი ყოველგვარი.
6. წყალსატევები მოვაწყვე, რომ მით მოერწყათ ნორჩი ტევრები,
7. შევიძინე მონა-მხევალნი, და მრავლად მესხნენ სახლში სახლეულნი; მყავდა ცხვარ-ძროხა იმათზე მეტი, ვისაც ჩემს უწინ უმეფია იერუსალემს.
8. დავაგროვე ოქრო და ვერცხლი, მეფეთა განძი ყოველი მხარის; და გავიჩინე მგალობელნი, კაცნი და ქალნი. და სიამენი ხორციელნი, ულამაზეს ხარჭათა დასი.
9. განვედიდე და გავმდიდრდი უმეტეს მათსა, ვინც ჩემს წინარე არსებულა იერუსალემს; და სიბრძნე ჩემი მევე მეყუდნა.
10. არ უარვყავი არაფერი, რაც კი მომთხოვეს ჩემმა თვალებმა, არ დავაოკე გული ჩემი სიხარულისგან, რადგან ხარობდა გული ჩემი ნაღვაწით ჩემით. ესე ყოველი იყო ხვედრი ჩემი შრომისა.
11. მერმე, როდესაც გადავხედე ყოველივეს, რაც კი შექმნა ჩემმა მარჯვენამ და ყოველ საქმეს, ჩემს ნამოქმედარს, მივხვდი, ამაო რომ ყოფილა ეს ყველაფერი, ქარის ნაბერი, და რომ არ არის სარგებელი ამ მზისქვეშეთში.
12. რადგან რაღა ქმნას ადამიანმა, რომელიც მოვა შემდგომ მეფისა, რომელსაც უკვე ყველაფერი უქმნია ქვეყნად?
13. ოდეს ვიკვლიე, რა არის სიბრძნე ანუ სიბრიყვე და უმეცრება, ვნახე — რომ სიბრძნე სიბრიყვეზე უპირატესობს, ისევე როგორც ნათელი ბნელზე.
14. ბრძენი კაცი გონებითა ჭვრეტს, უგუნური კი ბნელში დავალს. და ვუწყი, მაინც მოწევნადი ერთი აქვს ყველას.
15. გულს ვუთხარ მაშინ: „მეც უგნურის ბედი მეწევა; მაშ, რადღა ვიყავ მე სხვაზე ბრძენი?“ და გულსვე ვუთხარ, — ამაოება ყოფილა ესეც.
16. მარადიულად არ ეხსომებათ არც ბრძენკაცი და არც უგნური; გაივლის ჟამი, ყველაფერი დაივიწყება. ვაგლახ, რომ კვდება ბრძენი კაცი უგუნურივით!
17. და შევიძულე მე ეს ცხოვრება, რადგან მემწარა ყველაფერი, რაც მზის ქვეშ ხდება, რადგან ყოველი ამაოა, ქარების დევნა.
18. და მოვიძულე ყოველივე ნაღვაწი ჩემი, რაც მიღვაწია ამ მზისქვეშეთში, და რაც სხვას უნდა დავუტოვო, ჩემს შემდგომ მოსულს.
19. არავინ უწყის, ვის შეხვდება ჩემი ნაღვაწი, ბრძენსა თუ უგნურს, რაიც სიბრძნითი მომიღვაწია ამ მზისქვეშეთში? აჰა, კიდევ ამაოება.
20. და წარვუხოცე იმედი ჩემს თავს, რომ აღარაფერს მოველოდე იმ ღვაწლისაგან, რაც მზისქვეშეთში გამიწევია.
21. ნახავ კაცს, იღწვის, არ იშურებს სიბრძნეს და ცოდნას, მაგრამ ნაღვაწი სხვას ხვდება წილად, ვისაც არასდროს ულვაწნია ამ საქმისათვის. ამაოება არის ესეც და ბოროტება უდიდესი.
22. მაშ, რაღა რჩება ადამიანს შრომისა და ზრუნვის შედეგად, რომელსაც იგი მზის ქვეშ ეწევა?
23. დღენი მისნი სატანჯველია, საზრუნავი მისი — წუხილი, ღამითაც არ ისვენებს, შფოთავს გული. აჰა, კიდევ ამაოება.
24. კაცისათვის არაფერია იმაზე კარგი, რომ ჭამოს, სვას და ისიამოვნოს თავის ნაღვაწით; ეს გამოვცადე, რამეთუ ესეც ღმერთის ხელთაა.
25. ვინ ჭამს ანუ სვამს, ან განცხრომას ვინ მიეცემა იმის გარეშე?
26. ვისაც ის ითნევს, მას მიანიჭებს სიბრძნეს, ცოდნასა და სიხარულს; ხოლო ცოდვილს კი მოხვეჭისთვის საზრუნავს უჩენს, რათა ღვთის სათნოს დაუტოვოს ეს მონაგარი.

III

1. ყოველივესთვის თავისი დროა ამ ცისქვეშეთში და ყველაფრისთვის თავისი ჟამი;
2. ჟამი შობისა და ჟამი სიკვდილისა; ჟამი დანერგვისა და ჟამი დანერგულის აღმოფხვრისა.
3. ჟამი მოკვდინებისა და ჟამი განკურნებისა; ჟამი ნგრევისა და ჟამი შენებისა.
4. ჟამი ტირილისა და ჟამი სიცილისა; ჟამი გლოვისა და ჟამი ლხინისა.
5. ჟამი ქვათა მიმოფანტვისა და ჟამი მათი შეგროვებისა; ჟამი მიჯნურთა პაემანისა და ჟამი მათი გაყრისა.
6. ჟამი პოვნისა და ჟამი დაკარგვისა; ჟამი შენახვისა და ჟამი გაფლანგვისა.
7. ჟამი დარღვევისა და ჟამი შეკერვისა; ჟამი დუმილისა და ჟამი უბნობისა.
8. ჟამი სიყვარულისა და ჟამი სიძულვილისა; ჟამი ომისა და ჟამი მშვიდობისა.
9. რას არგებს მაშვრალს შრომა მისი?
10. კიდევაც ვნახე საზრუნავი, რომელიც ღმერთმა მიუჩინა ადამიანებს მათ სატანჯველად.
11. მან ყველაფერი კეთილად შექმნა თავის დროისთვის, თვით იდუმალის შეცნობად აღძრა გონება კაცთა. ოღონდ ისე, რომ ვერ გაუგონ ღვთის ნამოქმედარს თავი და ბოლო.
12. ვუწყი, რამეთუ არაფერია კაცისათვის იმაზე კარგი, რომ გაიხაროს და ქმნას სიკეთე, ვიდრეღა ცოცხლობს.
13. თუ კაცსა ვისმე არ აკლდება სასმელ-საჭმელი, და შრომისა წილ სიკეთეს ჰპოვებს, — მადლია ეს, ღვთის ნაბოძები.
14. ვუწყი ისიც, რომ ყოველივე, ღვთის მიერ ქმნილი, იარსებებს უკუნისამდე; არც დამატება სჭირდება რამის, არც გამოკლება. ასე ქმნა ღმერთმა, მის წინაშე შიში რომ ჰქონდეთ.
15. რაც ყოფილა, უკვე არის დიდი ხანია; და რაც იქნება, ის უკვე იყო. და ან გარდასულს მხოლოდ ღმერთი გამოიძიებს.
16. კიდევ ვიხილე მზისქვეშეთში: განსჯის ადგილი დაეჭირა უკანონობას, მართლის ადგილი მტყუან კაცს ეპყრა.
17. მაშინ ვთქვი გულში: ღმერთი განსჯის მართალს და მტყუანს, როს ყოველ საქმეს დაუდგება იქ თავის ჟამი.
18. და ვთქვი ჩემს გულში: ასე გამოცდის თურმე ღმერთი ადამის ძეთა, რათა დარწმუნდნენ, რომ თავისთავად პირუტყვები არიან მხოლოდ.
19. რამეთუ კაცის და პირუტყვის ხვედრი ერთია — ერთის სიკვდილი მეორისას ჰგავს და ყველას ერთი სული უდგას, კაცი პირუტყვზე ვერაფრით ვერ უპირატესობს, რადგან ყოველი ამაო არის.
20. ყოველივე ერთ ადგილს მივა; ყველაფერი მიწისგანაა და ყველაფერი მიწად იქცევა.
21. რომელი იტყვის, რომ კაცთა სული ზევით მიილტვის, ხოლო პირუტყვის ქვევით ჩადის, ქვესკნელისკენ?
22. ვხედავ, კაცთათვის სხვა სიკეთე რომ არ ყოფილა, თუ არ იხარა თავის ნაღვაწით, რადგან ესაა მისი წილი ამ მზისქვეშეთში. ვინ დაანახვებს, რა მოხდება შემდგომად მისა?

IV

1. კვლავაც ვხედავდი ძალადობას, რაც კი ხდებოდა ამ მზისქვეშეთში: აჰა, იღვრება ჩაგრულთა ცრემლი და მათ არავინ არ ანუგეშებს; მათ მჩაგვრელთა ხელშია ძალა, არავინა ჰყავთ ნუგეშისმცემი.
2. ნეტარ არიან დიდი ხნის მკვდარნი მათზე, ვინც ჯერაც ცოცხლობენ კიდევ.
3. და ორთავეზე ბედნიერი მაინც ის არის, ვინც ჯერაც არ დაბადებულა და არ უხილავს ბოროტება, რაც მზის ქვეშ ხდება.
4. ისიცა ვნახე, რომ სიბეჯითე ყველა საქმეში მხოლოდ ერთურთის შურით არის გამონვეული. ამაოება ყოფილა ესეც და ქარის დევნა.
5. ბრიყვს გულზე ხელი დაუკრეფია და თავის ხორცს ჭამს.
6. ერთი პეშვი სიმშვიდე სჯობს მთელ კალთა გარჯას და ფუჭ საზრუნავს.
7. კიდევ და კიდევ განვიცადე ამაოება ამ მზისქვეშეთში:
8. არსებობს კაცი მარტოხელა, არ ჰყავს არავინ, არც ძმა, არც შვილი, ხოლო მის შრომას ბოლო არ უჩანს და ვერ გაძღება თვალი მისი დოვლათის ხილვით. „ვისთვისღა ვშრომობ, და სიამეს რისთვის ვაკლდები?“ ამაოება არის ესეც და ფუჭი საქმე.
9. მარტო ყოფნას სჯობს ორნი იყვნეთ, — რამეთუ საზღაურსა იზღავთ კეთილად.
10. თუ დაეცნენ, ერთი მაინც წამოაყენებს თავის ამხანაგს. მაგრამ, ვაი, მარტომყოფსა, თუ დაეცა ვინღა უშველის?
11. თუ ორნი დაწვნენ, გათბებიან; მარტომყოფს კი რაღა გაათბობს!
12. თუ ერთს დასძლევს ვინმე, ორი ხომ გაუმკლავდება. მალე არ გაწყდება სამმაგი ძაფი.
13. ღატაკი, მაგრამ ბრძენი ყმაწვილი უმჯობესია მოხუცებულ და ბრიყვ მეფეზე, რომელიც უკვე ვერას ისწავლის.
14. რამეთუ იგი საპყრობილიდანაც გამოვა მეფედ, თუნდაც თავის სამეფოში უპოვრად იშვას.
15. ვიხილე: ყოველ მკვიდრს მზისქვეშეთში ყმაწვილი ახლავს, ეს შემცვლელია, მის ადგილს დაიჭერს.
16. არ უჩანს დასასრული ხალხს, ვინც მათ უწინარეს იყო, და არც შემდგომნი მოინატრებენ მათ. რამეთუ ესეც ამაოებაა და ქარის დევნა.
17. ფეხს ნუ აუჩქარებ ღვთის სახლისკენ მიმავალი; გაფრთხილდი, მსხვერპლი უგუნურთა მსგავსად არ შესწირო, რამეთუ არ უწყიან უკეთურებას რომ სჩადიან.

V

1. ნუ გისწრებს ენა და გული შენი ნუ გაჩქარის სიტყვის წარმოთქმას ღმერთის წინაშე, რამეთუ ღმერთი ცაში არის, შენ კი — მიწაზე. ამიტომ იკმარე ცოტა სიტყვები.
2. როგორც მრავლადაა სიზმარში ამბები, ისე მრავალსიტყვაა უგნურის ნაუბარი.
3. თუ ღმერთს აღთქმას მისცემ, ნუ დააყოვნებ მის აღსრულებას, რადგან უპირონი არად ვარგანან. რასაც აღუთქვამ — აღუსრულე.
4. სჯობს არ აღუთქვა, ვიდრე აღთქმული არ აღუსრულო.
5. ნუ ათქმევინებ შენს ბაგეებს ისეთ სიტყვას, რომ ცოდვაში ჩაიგდო თავი; ნურც იმართლებ თავს ანგელოსის წინაშე, — შევცდიო. რად უნდა განრისხდეს ღმერთი შენს ხმაზე და დაღუპოს შენი ხელით ქმნილი?
6. რადგან ბევრ სიზმრებს ამაოება და მრავალსიტყვაობა ახლავს: შენ კი ღვთისა გეშინოდეს.
7. თუ სადმე ქვეყნად იხილავ ღატაკთა შევიწროებას და სამართლისა და ჭეშმარიტების შერყვნას, ნუ გაიკვირვებ. — რამეთუ მაღალს უთვალთვალებს მასზე მაღალი: ხოლო მათ ზედა კიდევ არის უფრო მაღალი.
8. უკეთესია ის ქვეყანა, სადაც მეფე მიწისთვის იღწვის.
9. ფულის მოყვარული ფულით ვერ გაძღება, სიმდიდრის მოყვარულს ვერასოდეს აკმაყოფილებს შემოსავალი, ესეც არის ამაოება.
10. ბევრ დოვლათს ბევრი მჭამელი ჰყავს: რაღა დარჩება პატრონს მისსას? მხოლოდ ყურება.
11. ტკბილია ძილი მშრომელი კაცის, გინდ ცოტა ჭამოს, გინდა ბევრი; ხოლო სიმაძღრე ძილს უფრთხობს მდიდარს.
12. არის, მიხილავს მტანჯველი ბოროტება მზისქვეშეთში: პატრონის საზიანოდ შენახული სიმდიდრე.
13. დაიკარგება ეს სიმდიდრე უბედური შემთხვევის გამო; და შვილი მისი ხელცარიელი დარჩება;
14. ისევ შიშველი გაბრუნდება, როგორც მოვიდა დედის მუცლიდან და ველარაფერს მოიხვეჭს შრომით.
15. ესეც მტანჯველი ბოროტებაა, — როგორც მოვიდა, ისე რომ წავა რა სიკეთეა, ფუჭად რომ შრომობს?
16. თან დღეთა თვისთა ბნელში ამოჭამს, დარდით ტკივილით გულგასენილი.
17. აი, სად ვხედავ მე სიკეთეს, შესაფერ საქმეს: ჭამოს კაცმა, სვას და იხაროს თავისი ღვაწლით ამ მზისქვეშეთში დღენი მისნი, ღმერთმა რომ მისცა; რადგან ესაა ხვედრი მისი.
18. კაცს მისცემს ღმერთი ქონებასა და სიმდიდრეს და იმის შნოსაც, რომ მოიხმაროს, — მიიღოს წილი და გაიხაროს თავისი შრომით; ეს ყველაფერი ღვთის წყალობაა.
19. და რაკი ბევრს ველარაფერს გაიხსენებს კაცი თავის სიცოცხლეში, — ღმერთი ანიჭებს მის გულს სიხარულს.

VI

1. არის ბოროტება, რომელიც ვიხილე მზისქვეშეთში და მძიმეა იგი კაცთათვის;
2. მისცემს კაცს ღმერთი ქონებას, სიმდიდრეს და დიდებას, და აჰა, ყველაფერი აქვს, რაც კი ინატრა, მაგრამ ღმერთი არ მოახმარებს და სხვა, უცხო ვინმე, მოიხმარს. ამაოება არის ეს და ბოროტი სენი.
3. კიდეც რომ შვას კაცმა ასი შვილი და იცოცხლოს მრავალი წელი, მაგრამ ვერ იგემოს სიამე და საფლავიც აღარ ეღირსოს, ვიტყვი, — უჯობდა დედის მუცელს მოწყვეტილიყო.
4. ფუჭად რომ მოვიდა და ბნელში წავიდა, ბნელში რომ დაინთქა სახელი მისი;
5. მზე რომ არ უნახავს და არც გაუგია, — ეს იმ კაცზე უფრო მოსვენებულია.
6. თუნდაც იცოცხლოს ორი ათას წელს და ვერაფერი სიკეთე ნახოს, — რა ბედენაა, მაინც ყველა ერთ ადგილს მივა.
7. ადამიანის ყოველი შრომა პირისთვისაა, მაგრამ სული არ აღივსება.
8. რით სჯობია უგუნურს ბრძენი, ან ღატაკს რა, ცხოვრებას რომ ებრძვის.
9. სჯობს თვალით ნახო, ვიდრე გულს აჰყვე, — ამაოება არის ესეც და ქარის დევნა.
10. რაც კი არსებობს, ყოველივეს დიდი ხანია სახელი აქვს; რა არის კაცი, ესეც ცნობილია: ძლიერთან დავა კაცს არ შეუძლია.
11. ბევრი რამეა, რომ ამრავლებს ამაოებას; რა უპირატესობა აქვს კაცს?
12. რამეთუ ვინ უწყის, რა არის კარგი კაცისათვის მის ამაო წუთისოფელში, რომელსაც აჩრდილივით ატარებს? ვინ აუწყებს კაცს, რა მოხდება მის შემდეგ მზის ქვეშ.

VII

1. კარგი სახელი სჯობს ძვირფას ნელსაცხებელს. დღე სიკვდილისა — გაჩენის დღეს.
2. ტირილში წასვლა სჯობს ლხინში წასვლას, რადგან იქ არის ბოლო კაცისა; ცოცხალმა კაცმა ეს ყურად იღოს.
3. მწუხარება სჯობს სიცილს, რამეთუ სახის დაღვრემისას კეთილ არს გული.
4. ბრძენთა ფიქრები გლოვის სახლშია, უგუნურთა ფიქრები — მხიარულების სახლში
5. სჯობს ბრძენისაგან კიცხვას ისმენდე, ვიდრე ბრიყვისგან ქება-დიდებას.
6. რამეთუ ბრიყვთა სიცილი ქვაბის ქვეშ ფიჩხის ტკაცუნს ჰგავს; ამაოებაა ეს.
7. გაჭირვება ბრძენს გამოაჩენს, ხოლო ქრთამი რყვნის გულს კაცისას.
8. საქმის ბოლო სჯობს მის დასაწყისს; სულგრძელი კაცი სჯობს ამპარტავანს.
9. გულისწყრომად ნუ იჩქარი, რამეთუ გულისწყრომა უგუნურთა მკერდში ბუდობს.
10. ნუ იტყვი: „წარსული დროება აწმყოს რად სჯობდაო“, — რამეთუ სიბრძნე არ ახლავს ამ კითხვას.
11. კარგია სიბრძნე და ქონება: დიდად სარგოა მზის მჭვრეტელთათვის.
12. სიბრძნეც დაიფარავს კაცს და ფულიც დაიფარავს, მაგრამ სიბრძნე უპირატესია, მის მფლობელს აცოცხლებს.
13. შეხედე ღვთის შექმნილს: ვინ გამართავს მისგან გამრუდებულს?
14. კეთილდღეობისას იბედნიერე, ძნელბედობისას ფრთხილად მოიქეცე! ესეც და ისიც ღმერთმა შექმნა ერთმანეთის საპირისპიროდ, რათა კაცმა მის უკან ვერაფერი შეიცნოს.
15. ბევრი რამ ვნახე ჩემს ამაო წუთისოფელში: მართალი იღუპება თავის სიმართლით, უკეთური დღეგრძელობს თავისი უკეთურებით.
16. ნუ იქნები ზედმეტად მართალი და მეტისმეტად ნუ ისიბრძნებ, — რად გინდა რომ შეძრწუნდე?
17. ნუ იქნები მეტისმეტად უკეთური, ნურც ბრიყვი იქნები, — რად გინდა რომ უდროოდ მოკვდე?
18. უმჯობესია ერთიც იყო და მეორეც. არც ერთი უარყო და არც მეორე, რადგან ღვთის მოშიში არაფერს უფრთხის.
19. სიბრძნე ბრძენისათვის ძალაა, ქალაქის ათ მბრძანებელზე აღმატებული.
20. არ იპოება ქვეყნად მართალი კაცი, რომელიც იქმოდეს კეთილ საქმეს და არ სცოდავდეს.
21. ყველა სიტყვას, რასაც ამბობენ, ყურს ნუ მიუგდებ, რათა არ გესმოდეს, როგორ გაგინებს მონა შენი.
22. რადგან ბევრჯერ გამოგიცდია, შენც რომ აგინებდი სხვებს.
23. ყოველივე ეს სიბრძნით გამოვიკვლიე; ვთქვი: „ბრძენი ვარ“, მაგრამ სიბრძნე შორსაა ჩემგან.
24. შორია, რაც იყო, და ღრმა არის, ღრმა, ვინ მიაგნებს?
25. გულს ვიდევ, შემეცნო, შემესწავლა, გამომეკვლია რა არის სიბრძნე და გონიერება, რათა მცოდნოდა, რომ უმეცრება ბოროტებაა.
26. მივხვდი, სიკვდილზე მწარეა დიაცი, მახე და ბადეა მისი გული, ბორკილებია ხელები მისი: ღვთის სათნო გადაურჩება, ხოლო ცოდვილი შეპყრობილ იქნება.
27. აი, რას მივხვდი, თქვა კოჰელეთმა: თანმიყოლებით უნდა მისდიო, რომ აზრს მიაგნო.
28. კიდევ ამას ეძიებდა გული ჩემი, მაგრამ ვერ ვპოვე: ათასიდან ერთი მამაკაცი ვპოვე, მაგრამ მათ შორის ვერა ვპოვე ვერცერთი ქალი.
29. აჰა, ესაა ვპოვე მხოლოდ: ღმერთმა წრფელი შექმნა კაცი, ისინი კი ზედმეტ თავსატეხს მრავლად იჩენენ.

VIII

1. ბრძენს ვინ შეედრება და ვინ შეიცნობს საგანთა ბუნებას? სიბრძნე ადამიანს სახეს უნათლებს და სიტლანქეს სახისას ცვლის.
2. გეუბნები, ასრულებდე მეფის ბრძანებას, თუნდაც ღმერთისადმი მიცემული ფიცის გამო.
3. ნუ ისწრაფვი მისგან წასვლას და ბოროტ საქმეს ნუ დაადგები, რადგან რასაც ისურვებს, ყველაფერს გააკეთებს.
4. ვინაიდან სიტყვა მეფისა კანონია; ვინ ჰკადრებს მას, რას აკეთებო?
5. ცნების შემნახველს ავი საქმე არ შეემთხვევა; ჟამსაც და წესსაც ბრძენკაცის გული გრძნობს.
6. ვინაიდან ყველაფერს ჟამი და წესი აქვს, დიდი ბოროტებაა კაცისათვის,
7. რომ მან არ იცის, რა მოხდება; ან ვინ ეტყვის მას, როგორ მოხდება?
8. არავის ძალუძს ქარის შეჩერება, ვერავინ განაგებს დღეს სიკვდილისას, ვერვის დაითხოვენ ბრძოლის ველიდან, ვერ იხსნის უკეთურს უკეთურება.
9. ეს ყველაფერი ვიხილე და დავაკვირდი ყველა საქმეს, რაც მზისქვეშეთში მომხდარა: და ის დროც ვნახე, როცა კაცი კაცზე მძლავრობდა მისდა საზიანოდ.
10. კიდევაც ვნახე ბოროტეულნი დამარხულნი, ადრე რომ მოდიოდნენ წმიდა ადგილას და ბრუნდებოდნენ, — დავიწყებულ იქნენ იმ ქალაქშიც, სადაც ამგვარად იქცეოდნენ. ესეც ამაოებაა.
11. რაკი სწრაფადვე არ ისჯება ბოროტი საქმე, ამიტომ ბედავს კაცი ბოროტების ჩადენას.
12. ცოდვილმა კაცმა ასჯერაც რომ ჩაიდინოს ბოროტი საქმე, — მიეტევება; მე ისიც ვიცი, რომ მიეგებათ მადლი ღვთისმოსავთ, რომელთაც ეშინიათ ღვთისა.
13. არ მიეგებათ მადლი ბოროტეულთ, და ღანდივით დღემოკლე იქნება ყველა, ვისაც ღვთისა არ ეშინია.
14. არის კიდევ ამაოება, ქვეყნად რომ ხდება: ზოგჯერ ღვთისმოსავთ უკეთურთა დღე დაადგება, და უკეთურებს ღვთისმოსავთა დღე. ვთქვი: ესეც არის ამაოება.
15. და შევაქე მე მხიარულება: რადგან არ ყოფილა სხვა სიკეთე კაცისათვის მზისქვეშეთში, გარდა იმისა, რომ სვას, ჭამოს და იმხიარულოს; ესე ყოველი ახლავს კაცს მის შრომაში დღენი მისნი, ღმერთმა რომ უბოძა მზისქვეშეთში.
16. როცა გულს ვიდევ, შემეცნო სიბრძნე და მომეხილა ყველა საქმე, რაც ქვეყნად ხდება, ჩემს თვალებს ძილი არ უნახავთ არც დღე, არც ღამე:
17. ვიხილე ღვთის ყოველი ნამოქმედარი, რომ ვერ მიხვდება ვერაკაცი ვერაფერ საქმეს, რაც მზის ქვეშ ხდება: რაც უნდა დაშვრეს და იძიოს, ვერას მიხვდება: თუნდაც ბრძენკაცმა თქვას: მივხვდიო, ვერას მიხვდება.

IX

1. ამას ყოველივეს ჩავუკვირდი და გულისხმა ვყავ, რომ მართალნი, ბრძენნი და საქმენი მათნი ღვთის ხელთაა: არც სიყვარული, არც სიძულვილი არ უწყის კაცმა და არც სხვა რამე, რაც მის წინაა.
2. ერთი ხვედრი აქვს ყველას: მართალს და უკეთურს, კეთილს და ბოროტს, წმიდას და არაწმიდას, მსხვერპლის შემწირველს და მსხვერპლის არშემწირველს, როგორც უცოდველს, ისე ცოდვილს, როგორც ცრუდ მოფიცარს, ისე ფიცის მოშიშს.
3. უბედურებაა მზისქვეშეთში, რომ ყველას ერთი ხვედრი აქვს, რომ კაცთა გულიც აღსავსე არის ავი ზრახვებით და უმეცრებით, ვიდრე ცოცხლობენ. ამის შემდგომ კი მკვდრებად შეირაცხებიან.
4. კაცი ცოცხალი იმედით არსებობს; ცოცხალი ძაღლი მკვდარი ლომის უმჯობესია.
5. ცოცხალმა იცის, სიკვდილი ელის, ხოლო მკვდარმა კი არა უწყის რა, და აღარც საზღაური მიეზღვება; რადგან მიეცა მათი ხსოვნა დავიწყებას.
6. და წარხდა მათი სიძულვილიც, შურიც და ტრფობაც აღარ ექნებათ აწ და მარადის წილი იმაში, რაც მზის ქვეშ ხდება.
7. წადი, სვი ღვინო გულმხიარულად და მხიარულად ჭამე პური, რაკი ღმერთმა მოიწონა საქმენი შენნი.
8. ყოველჟამს იყოს სამოსელი შენი სპეტაკი, სურნელი ზეთი არ მოაკლდეს თავს შენსას.
9. ნახე ცხოვრება ქალთან ერთად, რომელიც გიყვარს შენი ამაო სიცოცხლის მანძილზე და რომელიც მოგცა ღმერთმა შენს ამაო ცხოვრებაში, რადგან ესაა ხვედრი შენი სიცოცხლეში და იმ შრომაში, რასაც შენ მზისქვეშეთში ეწეოდი.
10. რისი კეთების ძალაც შესწევს ხელებს — აკეთე: რადგან არც საქმე, არც საფიქრალი, ცოდნა, ან სიბრძნე არ გაგყვება, იქ, ქვესკნელში, სადაც მიდიხარ.
11. ისიც შევიტყვე ამ მზისქვეშეთში, რომ მორბენალთა ნებაზე არაა რბოლა, არც მეომართა ნებაზეა ომი, არც ბრძენთა ნებაზეა პური, არც გონიერთა ნებაზეა სიმდიდრე, არც მცოდნეთა ნებაზეა მადლი: რამეთუ დრო და შემთხვევა განაგებს ყველაფერს.
12. ადამიანი ვერ გაიგებს თვის ჟამს ისევე, როგორც თევზები, ავ ბადეში გახვეულები, ან მახეში გაბმული ჩიტი; მათ მსგავსადვე გაებმება ადამიანი ავბედით ჟამს, რომელიც მას მოულოდნელად თავს დაატყდება.
13. ეს სიბრძნეც შევიტყე მზისქვეშეთში და საგულისხმოდ შევრაცხე იგი:
14. იყო ქალაქი მცირე და ხალხიც ცოტა; მოადგა ქალაქს დიდი მეფე, ალყა შემოარტყა და შემოავლო მაგარი ზღუდე.
15. აღმოჩნდა იქ კაცი ვინმე უპოვარი, მაგრამ ბრძენი და იხსნა ქალაქი თავისი სიბრძნით, მაგრამ უპოვარი იგი არავის აღარ გახსენებია.
16. ვთქვი: სიბრძნე ძალის უპირატესია, მაგრამ უპოვარის სიბრძნეს აბუჩად იგდებენ და მის სიტყვებს ყურს არვინ უგდებს.
17. ბრძენთა სიტყვები, წყნარად ნათქვამი უმჯობესია, ვიდრე სულელთა მთავრის ყვირილი.
18. ბრძოლის საჭურველს სიბრძნე სჯობია, მაგრამ ერთი ცოდვილი ბევრ სიკეთეს დაღუპავს.

X

1. შხამიანი ბუზები აფუჭებენ და ალპობენ სურნელოვან ზეთს. მცირედი სიბრიყვე უფრო ძვირფასია ზოგჯერ, ვიდრე სიბრძნე და დიდება.
2. ბრძენს გული მარჯვნივ აქვს, ბრიყვს — მარცხნივ.
3. სადაც არ უნდა წავიდეს ბრიყვი, ბრიყვადვე რჩება, სხვებზე კი ამბობს, ბრიყვიაო.
4. თუ თავს დაგატყდა უფროსის რისხვა, ადგილს შენსას ნუ მიატოვებ, რადგან თვინიერს დიდი ცოდვებიც მიეტევება.
5. არის სიბოროტე კიდევ, ქვეყნად რომ ვიხილე: მბრძანებლისაგან მომდინარე შეცდომასა ჰგავს.
6. სიბრიყვე განდიდდა მეტად, ხოლო მდიდრები დაბლა სხედან.
7. ვნახე მონები ცხენებზე მსხდარნი, ხოლო თავადნი მონებივით ფეხით მავალნი.
8. ორმოს გამთხრელი თავად ჩავარდება მასში, ხოლო კედლის დამანგრეველს გველი დაშხამავს.
9. ვინც ქვებს მიათრევს, წელს ქვავე მოსწყვეტს: ხოლო ხის გამჩეხავს ხვევ დაასახიჩრებს.
10. ცული თუ დაგიჩლუნგდა და არ გალესე, ზედმეტი ძალა დაგადგება: ჭკუით უნდა წარმართო საქმე.
11. თუ შეულოცველს უკბინა გველმა, შემლოცველი ვეღარ უშველის.
12. ბრძენის სიტყვები მადლია, ხოლო ბრიყვს დაღუპავს ბაგენი მისი.
13. დასაბამი მისთა სიტყვათა სიბრიყვეა, ხოლო შედეგი — დამღუპველი უმეცრება.
14. სიტყვამრავალია ბრიყვი: არ უწყის კაცმა, რა მოხდება; ვინ აუწყებს რა იქნება მის შემდგომ?
15. ბრიყვთა სიცრუე დაჰქანცავს იმას, ვინც არ იცის ქალაქისკენ მიმავალი გზა.
16. ვაი შენდა, ქვეყანავ, ბავშვი რომ გიზის მეფედ, და დიდებულნი შენნი დილიდანვე რომ იწყებენ ჭამას!
17. ნეტარ ხარ, ქვეყანავ, როს შენი მეფე არავის ჰმონებს და დიდებულნი შენნი დროით რომ ჭამენ, — ძალთა მოკრებად, არა სალხინოდ?
18. სიზარმაცისგან ჭერი ჩამოიქცევა, გულხელდაკრეფისგან წყალი ჩამოვა სახლში.
19. სამხიარულოდ იმართება პურობა, ღვინო, სიხარული ავსებს სიცოცხლეს; ხოლო ფული ყველაფერზე პასუხს აგებს.
20. შენ ფიქრშიაც ნუ აგინებ მეფეს, საწოლ ოთახშიაც ნუ აგინებ დიდებულს: რადგან ცის ფრინველი წაუღებს ამბავს და ფრთოსანი აუწყებს სიტყვას.

XI

1. პური შენი წყალს გაატანე, რადგან მრავალთა დღეთა შემდგომ კვლავ მოიძიებ.
2. მიეც ნაწილი ქონებისა შვიდსა თუ რვასა, რადგან არ იცი, რა უბედობა მოელის ქვეყანას.
3. როცა ღრუბელი აივსება, წვიმაც იწვიმებს ქვეყანაზე; თუ დაეცა ხე სამხრეთში ან ჩრდილოეთში, სადაც დაეცა, იქვე დარჩება.
4. ვინც ქარს აკვირდება, ვერ დათესავს; ვინც ღრუბლებს შესცქერის, ვერას მოიმკის.
5. როგორც არ უწყი გზა ქარისა და ძვლების გაჩენა აღვსილ წიაღში, — ასევე არ უწყი საქმენი ღვთისანი, რომელმაც ყოველივე შექმნა.
6. დილით თესავდე თესლსა შენსა, და მწუხრისას ნუ დაისვენებს ხელი შენი; რადგან არ იცი, რომელი უფრო სასიკეთოა; იქნებ ორივე ერთნაირად კარგი გამოდგეს.
7. ტკბილია სინათლე და საამურია თვალთათვის მზის ჭვრეტა.
8. თუნდაც მრავალი წელი იცოცხლოს კაცმა და იმხიარულოს, ახსოვდეს, — რომ მრავლად იქნება შავი დღეები: რაც მოვა, ყველაფერი ამაოა.
9. იხარე, ყრმაო, ვიდრე ნორჩი ხარ: გაამოს გულმა შენმა სიყმაწვილეში, მიჰყევ გულსა შენსა და თვალთა მზერას: ოღონდ იცოდე. ამა ყველაფრისა გამო სამსჯავროში წარგადგენს ღმერთი.
10. უკუიყარე გულიდან დარდი და უამური რამ სხეულს არიდე, რადგან ბავშვობაც და სიყმაწვილეც ამაოა და წარმავალი.

XII

1. გახსოვდეს გამჩენი შენი შენს სიჭაბუკეში, ვიდრე დაგიდგებოდეს მწარე დღეები და გეწეოდეს წლები, რომლებზეც იტყვი, — რაღაში მადგიან მე ისინიო?
2. ვიდრე დაბნელდებოდეს მზე, ნათელი და მთვარე და ვარსკვლავები, ვიდრე ღრუბლები კიდევ ჩანან წვიმის შემდეგ,
3. იმ დღემდე, ვიდრე დაფრთხებოდნენ ბინათა მცველნი და მეომარნი დაუძლურდებოდნენ, ვიდრე შეწყვეტდნენ სამუშაოს მეწისქვილენი (რამეთუ მცირედნი დარჩებიან): ვიდრე ნათელი დაიკლდებოდეთ სარკმლიდან მჭვრეტელთ:
4. ვიდრე დაიგმანებოდეს ქუჩის კარები, მიჩუმდებოდეს წისქვილის ხმაური, დადუმდებოდეს ფრინველთა ხმები, დაცხრებოდეს ყველა მგალობელი;
5. შეეშინდებოდეთ სიმაღლისაც და გზებზე შიში დაივანებდეს, გამწარდებოდეს ნუში, დამძიმდებოდეს კალია და ნაყოფს გამოიღებდეს კაპარი, — როცა მიდის კაცი თავის საუკუნო სახლისაკენ და უკან მიჰყვებიან მოტირალნი, —
6. ვიდრე გაწყდებოდეს ვერცხლის საბელი და გატყდებოდეს ოქროს ჭურჭელი, დაიმსხვრეოდეს დოქი წყაროსთან, ჩაეშვებოდეს ოწინარის ბორბალი ჭაში;
7. მიიქცეოდეს მტვერი მიწად, ვითარცა იყო, და სული ღმერთს დაუბრუნდებოდეს, რომელმაც შთაბერა.
8. ამაოება ამაოებათა, თქვა კოჰელეთ, ყოველივე ამაო.
9. თავად ხომ ბრძენი იყო კოჰელეთ, ხალხსაც შეასწავლა სიბრძნე. იკვლევდა, იძიებდა და თხზავდა იგავებს მრავალს.
10. ეძებდა კოჰელეთ საჭირო სიტყვებს და წრფელად დაიწერა ჭეშმარიტი სიტყვები.
11. ბრძენთა სიტყვები ნვერგამახული სოლებია, ბრძენთა კრებული — ჩაჭედილი ლურსმნები; ერთი მწყემსია მათი სათავე.
12. კიდევ გეტყვი, შვილო, ყურად იღე: ბევრი წიგნების წერას ბოლო არ ექნება და ზედმეტი ფიქრი სხეულს ადუნებს.
13. მოვისმინოთ ყველაფრის თავი და ბოლო: ღვთისა გეშინოდეს და დაიცავი მცნებანი მისნი, რადგან ესაა კაცისათვის ყველაფერი.
14. რადგან სამსჯავროზე გაიტანს ღმერთი ყველა საქმეს, — კეთილს თუ ბოროტს, თუნდაც დაფარული იყოს.

საქართველოს ებრაელობა. წარსულიდან მომავლისაკენ

საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის შექმნის ათი წლისთავისათვის

(დასაწყისი „მ“ 2012 წ. №14,15,16-17; 2013 წ. №1,2,3)

გურამ გათიაშვილი

ვნებანი „საქართველოს ებრაელობის“ გამო

აპრილში მარადიულ სამყაროში გადაინაცვლა სემკ-ის პრეზიდენტმა მიშიკო მირილაშვილმა. თელ-ავივს გავ-ფრინდი. ჯემალმა და მე გადავწყვიტეთ, ბ-ნი პრეზიდენ-ტის „გამოტირილამდე“, გამოგვეშვა გაზეთის საგანგებო ნომერი. ჯემალს – ახალ გენერალურ დირექტორსა და „მოამბის“ახალ რედაქტორს – სხვადასხვა საჭიროები-სათვის კონგრესში გამოუძახნია ექსრედაქტორი დ. შიმ-შილაშვილი.

დილით კონგრესში შემსწრე ვხდები დ. შიმშილაშ-ვილის და ჯ. აჯიაშვილის დაპირისპირებისა. დ. შიმში-ლაშვილი ლაპარაკობს ინტრიგებზე კონგრესში, ჩუმ, უხმაურო, კულუარულ ბრძოლაზე, აღშფოთებული დ. შიმშილაშვილი ჯ. აჯიაშვილს კულუარული ბრძოლისა და ნეგატიური პიარის აგორების ბრალდებებს უყენებს.

იმავე თვის ბოლოს ორივენი აშშ-ში გავემგზავრეთ, აშკარა იყო, რომ ჯემალი ნერვიულობდა - ნიუ-იორკში, ვაშინგტონში ყოფნისას გულისტკივილით მელაპარაკე-ბოდა წინააღმდეგობებზე, რომელსაც მუშაობისას აწყდე-ბოდა - ხელს მიშლიანო, ათას ხრიკს მიწყობენო. ცხადია, მსურდა, კონგრესში სიმშვიდე და სამუშაო ატმოსფერო დასადგურებულიყო და ვცდილობდი მისი ნერვიულობა თანადგომით, მხარდაჭერით შემემსუბუქებინა. იმასაც ვეუბნებოდი, როგორც პოეტი, აზვიადებ, ეგრე სულაც არ არის საქმე-მეთქი. მისადმი თანადგომის რამდენიმე მიზეზი მქონდა და ჩემი დამოკიდებულება არც დამი-ფარავს, რაც ყოფილი გენერალური დირექტორის უკ-მაყოფილების, გაღიზიანების მიზეზიც გახდა. არადა, ამ კაცს პატივს ვცემ: შრომისმოყვარეობით, პირდაპირო-ბით, კონგრესისადმი თავდადებით ხასიათდება.

ივნისში ისრაელში ჩასულს მიამბეს, ყოფილი და დღე-ვანდელი გენერალური დირექტორი ისე დაუპირისპირდ-ნენ ერთმანეთს, ერთიმეორეზე მუშტით იწევდნენო. ეს ამბები ჯემალისათვის არც გამომიკითხავს — ისედაც ცხადი გახლდათ, რომ ურთიერთობა დაძაბული იყო. კონ-გრესის ერთი თანამშრომელი გულისტკივილით მეუბნე-ბოდა: „რა ბედნიერი ხართ, შორს იმყოფებით, ამ ამბებს შემთხვევიდან შემთხვევამდე შეესწრებით“. მოგვი-ანებით ცნობილი ხდება: ჯემალს უკურნებელი სენი შეეყარა. ინტენსიურად მკურნალობდა, წლის ბოლოს, თუ 2010 წლის დამდეგს ოპერაციაც გაუკეთეს. კარგად მახსოვს, 2010 წლის 15 იანვარს დავურეკე, ვიცოდი, საა-ვადმყოფოდან გამოეწერა და ჯანმრთელობის მდგო-მარეობა მაინტერესებდა. ჯემალი კი იმას მეკითხებოდა, წინა საღამოს, ქართული თეატრის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიალზე, გადმომეცა თუ არა მარჯანიშ-ვილის პრემია. ამას მისთვის ჩვეული ხითხითით იმიტომ კითხულობდა, რომ პრემიების მიმნიჭებელი კომიტე-ტის გადაწყვეტილების შემდეგ სკამისთვის გაფაციცე-ბული ერთი ადამიანი ათას სიბინძურეს სჩადიოდა — დარბოდა, ქვეყანას აწრიალდა ბათიაშვილს პრემიას ნუ ანიჭებთ, ჩვენ ებრაელები წინააღმდეგი ვართო (!). ამაზე მეც და ჯემალმაც ბევრი ვიცინეთ.

კვლავ კონგრესს მივუბრუნდეთ: ჯ. აჯიაშვილი გა-მოსცემს მრავალგვერდიან „მოამბეს“. შესანიშნავია, ჩინებული, მაგრამ ეს არ არის გაზეთი, ეს არის ალმანახი, რომელიც კარგად გვიამბობს საქართველოს ებრაელო-ბის ისტორიაზე. ადგილი აქვს საქმიანობის დუბლირება-საც - კონგრესის ჟურნალი –„ერთობა“ანალოგიური ხა-სიათისაა. „მოამბე“ ხამუშ-ხამუშ გამოდიოდა – 2009-12 წლებში სულ სამი, თუ ოთხი ნომერი გამოვიდა – კარგი, ჩინებული ალმანახი და არა გაზეთი.

ასე რომ, კონგრესი 2009 წლიდან გაზეთს აღარ სცემს. ამ ხნის განმავლობაში გამოვიდა ორი-სამი ნომერი ჟუ-რნალ „ერთობისა“ — ისევ ის გზა – გზა პრეზიდენტის დათვური სამსახურისა, პოლიტიკანობისა (აი, ახლახან — 2013 წლის მარტში გამოჩნდა საფესახოდ გამოცემუ-ლი „მოამბის“ ახალი ნომერი, რაც ერთობ მისასალმებე-ლია).

დღევანდელი გადასახედიდან მოვლენებს რომ ვა-ფასებ, ვხედავ. შეცდომა დავუშვი: უნდა მიმეღო გა-ბრიელ მირილაშვილის წინადადება „საქართველოს ებრაელობის“ გამოცემა გააგრძელეო. გაზეთის გამო-ცემა არ უნდა შემეწყვიტა. მაგრამ, ერთის მხრივ, ზემოთ ნახსენებ წერილის ავტორთა უმადურობით გულნატ-კენმა, უფრო მეტად კი იმის გამო, რომ უნივერსიტეტში ლექციებს, „თეატრსა და ცხოვრებას“, „მენორას“ ბევრი დრო, ენერგია მიჰქონდა, შემოთავაზებაზე უარი ვთქვი. მაშინ ეს სწორ გადაწყვეტილებად მიმაჩნდა. აბა, როგორ წარმოვიდგენდი, თუ გაზეთის თელ-ავივში გამოცემაც გახდებოდა ინტრიგების, დაპირისპირების საბაბი.

ახლა კი, როგორც დაგპირდით, წარმოგიდგენთ ინ-ტრიგათა ხლართვის კიდევ ერთ დოკუმენტს, რომლის ავტორიც კვლავ თ. მამისთვალოვია.

თბილისი რომ ისტორიული და ერთობ დიდებული ქალაქია, ეს საყოველთაოდ გახლავთ ცნობილი. ამ ქა-ლაქში სხვადასხვა ერის შვილები ცხოვრობენ და ყველას მშობლიურ ქალაქად მიაჩნია. მართალია, თბილისში არ დავბადებულვარ, მაგრამ ეს ქალაქი ჩემთვის ძალიან ძვირფასია: ამიტომ მეწადა ამ ჭარმაგ ჭაბუკ ქალაქში ყოფილიყო ორი დიდი, ებრაელი ხალხის ისტორიაში გვერდაუვლელი პიროვნების – მეფე დავითისა და მეფე სოლომონის სახელობის ქუჩები. ამიტომაც 2006 წელს ქალაქის მერიას ვთხოვე თბილისის ორ ქუჩას მინიჭე-ბოდა დავით მეფისა და სოლომონ მეფის სახელები. ქა-ლაქის მერს – ჯერ ბ-ნ ზურაბ ჭიაბერაშვილს, მერე კი ბ-ნ გიგი უგულავას წერილით მივმართე, როგორც კონგრე-სის თანათავმჯდომარემ, მწერალმა.

და როდესაც ქალაქის უძველეს უბანში ორ ქუჩას და-ვით და სოლომონ მეფეთა სახელები მიენიჭა, მე უბედ-ნიერეს ადამიანად მივიჩნევდი თავს. ასეა დღესაც, როცა ამ ქუჩებში გავივლი.

თ. მამისთვალოვი კი კვლავ დაჯდა წერად, კვლავ „კომსომოლური“ შემართებით ჩემს წინააღმდეგ იმარ-ჯვებს კალამს, პარალელურად მითითებებს აძლევს სემ კონგრესის პრეზიდენტს – ბ-ნ მოშე (მიშიკო) მირილაშ-ვილს.

აი, ეს წერილიც:

ბ-ნ მ. მირილაშვილს

საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტს

საკითხი: გაზეთ „მენორას“ აბგისტოს ნომერში გამოქვეყნებული წერილი ქ. თბილისის მერის ბიბი უგულავასადმი

ბ-ნო მიხეილ!

ზემოთ აღნიშნული წერილი არავის შეუთანხმე-ბია კონგრესის გამგეობასთან, და, როგორც ჩანს, არც თქვენთან არის შეთანხმებული, ვინაიდან, დარ-წმუნებული ვართ, რომ მის შინაარსს მხარს არ დაუჭ-ერდით. გამოდის, რომ წერილის ავტორს ეჭვიც კი არ ეპარება იმაში, რომ მისი შეხედულებები უსიტყვოდ უნდა იქნას მიღებული კონგრესის ხელმძღვანელობის მიერ, ე.ი. ჩვენ უნდა ვიზიარებდეთ მის ყოველ ნააზ-რევს, და სახელმძღვანელო დოგმად ვღებულობდეთ.

ვფიქრობთ, აღრესატებთან გაგზავნამდე, წერილი უნდა განგვეხილა ჩვენ, თუმცა, წერილის შინაარსი მისაღები რომ იყოს, შეიძლება გავჩუმებულიყავით, მაგრამ მისმა გაცნობამ, რბილად რომ ვთქვათ, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ჩვენში და, აი, რატომ:

წერილის ავტორს ბ-ნ გურამ გათიაშვილს ძალიან აწუხებს ის, რომ „მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მი-მოფანტულმა ქართველმა ებრაელობამ არ დაკარ-გოს ის, რაც საქართველოში ყოფნის 26 საუკუნის მანძილზე შეისისხლხორცა“ და არა ის, რომ ქართ-ველ ებრაელთა ერთმა ნაწილმა ისრაელში ამოსვ-ლას ამჯობინა ახალი გალუთის ქვეყნებში წასვლა დროებით, თუ სამუდამო საცხოვრებლად (დახეთ, დემაგოგიის რა დონეზე გადის საჩივრის ავტორი თამარ მასწავლებელი გ.ბ.)

1. წერილის მიხედვით, „სემკ-ის შექმნა სწორედ **ერთიანი ებრაული** (ხაზგასმა ჩვენია) შენარჩუნების აუცილებლობით არის ნაკარნახევი. ეს, ალბათ, პირადად გ. გათიაშვილის აზრია. ტექსტიდან ჩანს, რომ „ერთიანი ებრაული“ იგულისხმება ქართვ-ელობა, ე.ი. ქართველობის შენარჩუნება. ჩვენ ძა-ლიან გვიყვარს ჩვენი ქართველი დები და ძმები. გვიყვარს საქართველო, საღაც დავიბადეთ და აღ-ვიზარდეთ. იგი მეორე სამშობლოდ მიგვაჩნია და ბევრსაც ვაკეთებთ მისი სახელის პოპულარიზაცი-ისათვის. მაგრამ კაცს შეიძლება ჰქონდეს ორი სამ-შობლო, ორი ერთიანება კი არა! წერილის ავტორს უნდა შევახსენოთ, რომ სემკ-ის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ქართველ ებრაელთა სრული ინტეგრაცია შერწყმა ისრაელის საზოგადოებაში (აი, კიდევ ერთი დასტური იმისა,რაზეც ზემოთ ვსაუბრობდით: ამ ქა-ლბატონმა არ იცის, რაგვარ ორგანიზაციაში მუშაობს არც ის იცის რომ სემკ-ი არის საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესი და არა საქართველოდან ამოსულ ებრაელთა კონგრესი, ალბათ ამიტომაცაა, რომ ჩვენს კონგრესს ზოგჯერ ასეც მოიხსენიებენ ხოლმე. გ.ბ.).

2. „ჩვენ შესაძლოა ვცხოვროდეთ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, მაგრამ უნდა გვაერთიანებდეს **ერთი კულტურა**“ (ხასგასმა ჩვენია). ჩვენ მართლაც უნდა გვაერთიანებდს ერთი კულტურა, მაგრამ არა ის, რომელსაც ბ-ნი გურამი გულისხმობს, არამედ

ქალაქი ლუდი, ქოლელი

საერთო ებრაული კულტურა, რომელიც ისრაელის ძირეულ მცხოვრებთა კულტურის პარალელურად შეიცავს სხვადასხვა თემთა კულტურის ელემენტ-ებს, მათ შორის ქართული კულტურის ელემენტებ-საც. ისრაელში ცხოვრობს ქართველ ებრაელთა 85% მეტი, ე.ი. აბსოლუტური უმრავლესობა და სწორედ ისინი უნდა აძლევდნენ ტონს გალუთში მცხოვრებ თანამოძმეთა კულტურასაც და ეროვნულ მეობასაც.

3. სემკ-ს არ უნდა დაესვა საკითხი თბილი-სის ორი ქუჩისათვის დავიდ ჰამელეხისა და შლომო ჰამელეხის მიკუთვნებაზე. ყოველივე რაც კი თანახ-თან არის დაკავშირებული, ჩვენთვის ყველაფერი წმინდაა და თავის შეკავებაა საჭირო, როცა სხვა რწმენის ხალხს ეხება საქმე. სულ სხვაა, რომ ეხე-ბოდეს რომელიმე ებრაელი მწერლის, მხატვრის, კომ-პოზიტორის ან სხვა პიროვნების სახელის მიკუთვნე-ბას (თამარ მასწავლებელი თანახმაა, რომ მისი სახელი მიეკუთვნა თბილისის კბილის საპროთეზო ტექნიკუმს და ამაზე არც განუცხადებია უარი, აი, ის, რომ ისრაელის ორი დიდი მეფის, ორი უზარმაზარი ფიგურის-სახელი თბილისის ქუჩებს მიენიჭოს, ეს არ იქნებაო გ.ბ.).

4. გამოთქმა „მეფსალმუნე დავიდ მეფე“ ძალიან არასასიამოვნოა. იგი დამამცირებლად ჟღერს დავიდ ჰამელეხის მიმართ, რომელსაც, მოშე რაბინუს შემ-დეგ, ყველაზე დიდი ადგილი უკავია ებრაელთა ის-ტორიაში.

პირველ ყოვლისა, იგი იყო დიდი სახელმწიფო მოღვაწე, ებრაელ ტომთა გამაერთიანებელი, ბრძენი დიპლომატი და დაუმარცხებელი მხედართმთავარი. გარდა ამისა, იგი იყო ბრწყინვალე მუსიკოსი და შესანიშნავი პოეტი. სიტყვა „მეფსალმუნე“ იგივეა, რომ მსოფლიო მნიშვნელობის „პოეტზე“ ვთქვათ „მოლექსე“. ყველაფერ ამის გარდა „ფსალმუნი“ ბერ-ძნული სიტყვაა და ქართულად „საგალობელი“ ჰქვია. დავიდ ჰამელეხის „საგალობელნი“ (თეილიმ) ძველი ებრაული პოეზიის თვალ-მარგალიტად ითვლება.

5. ვინც თბილისს იცნობს, ალბათ, დაგვეთანხმება, რომ მეტეხის აღმართი არ წარმოადგენს კარგ რაიონს (საბრალო დარეჯან დედოფალო, დარეჯან დედოფლის სასახლიდან ამ ქუჩებამდე 100-150 მეტრია - ეს სად დაგიდგამს სასახლე, თამარ მასწავლებელს არ მოსწონს! გ.ბ.) შეიძლება გვითხრან, რომ ეს ძველი თბილი-სის რაიონია და რაკი საქმე ეხება ძველი დროის მეფეებს... მაგრამ რას გვეტყვიან ამ აღმართის შესახ-ვევებზე. ქუჩასა და შესახვევს შორის ხომ არის გან-სხვავება? ნუთუ, ჩვენი დიდი მეფეები მეტის ღირსნი არ არიან? ან რატომ არ იხსენებიან წერილში ისინი ებრაული სახელებით?

6. და ბოლოს, ბ-ნო მიხეილ, იმ ორ შესახვევთან „დავიდ მეფსალმუნის“ სახელობის ეკლესიის აშენება როგორ მოგწონთ?

ამ წერილში იმდენი დემაგოგიაა, მისი დაწვრილებითი განხილვა ერთობ უსიამოვნო შედეგამდე მიგვიყვანს. ამიტომ არ შევუდგები მის ანალიზს. უბრალო მიზანი მაქვს: მკითხველმა იცოდეს, იმის სურვილსაც გამოვთქ-ვამ, რომ ქ-ნი თამარი იქნება, თუ სხვა, „დანოსის“ წერად რომ დაჯდება, ეროვნულობისა თუ კულტურის საკითხე-ბზე წერისას, მეტი ყურადღება გამოიჩინოს და გაზეთებ-ში ამოკითხული ფრაზებით ნუ იმსჯელებს.

ახლა კი მინდა გაგაცნოთ პრეზიდენტისადმი თი-თის ქნევის კიდევ ერთი ნიმუში, რომელიც თ. მამისთ-ვალოვმა ზემოთ მოხმობილ წერილს პოსტსკრიმპტუმად დაურთო:

წინაისტორია: 2006 წ. „ჰეზბოლამ“ ისრაელის ზოგიერ-თი ქალაქი დაბომბა, მოსახლეობა დაიზაფრა, ისრაელის სახელმწიფოს მეთაურებმა თანადგომის გამომხატველი ბევრი წერილი მიიღეს: თანადგომას უცხადებდნენ ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფალნი, საზოგადოებრივი ორ-განიზაციები, მოღვაწენი, კერძო პირები. ანალოგიუ-რად მოიქცა – მთავრობის მეთაურს ბ. ნეთანიაჰუსა და საგარეო საქმეთა მინისტრს ციფი ლივნის თანადგო-მის წერილი გაუგზავნა -- საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტმა მიხეილ მირილაშ-ვილმა. მაგრამ თამარ მასწავლებელს, ეს არ მოსწონს: აი, რას წერს თ. მამისთვალოვი მ. მირილაშვილს.

„აბსურდულად მიგვაჩნია წერილის გამოგზავნა სანკტ-პეტერბურგიდან თქვენი ხელმოწერით, ჯერ ერთი, ქალაქის ხსენება სულაც არ იყო საჭირო, მეორე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველი ებრაელობის 85%-ზე მეტი ისრაელში ცხოვრობს და ქვეყნის ჩრდილოეთში „ჰეზბოლას“ რაკეტებისა-გან მრავალი ჩვენი თანამემამულე დაზარალდა, და, საერთოდ, ყველამ დიდი ტრავმა გადავიტანეთ. ჩვენ ვართ ისრაელი ხალხის ინტეგრალური ნაწილი და გამოდის, რომ ჩვენს თავს ვუცხადებთ სოლიდა-რობას. თუკი, საერთოდ, საჭირო იყო სოლიდარო-ბის გამოცხადება, მაშინ გალუთში მყოფ ქართველ ებრაელობას უნდა გამოეცხადებინა სოლიდაროება კონგრესის ხელმძღვანელობისათვის და ისრაელის მთავრობისათვის“.

იცის, ამ ქალბატონმა, ძალიან კარგად იცის ბ-ნი პრე-

ზიდენტის მშვიდი ბუნება და თავს უფლებას აძლევს ჭკუა ასწავლოს..

სახელები და სახეები

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ზრუნვა კონგრესის შესაქმნელად 2000 წლის დეკემბერში სანკტ-პეტერბურგში დაიწყო. დამფუძნებელი ყრილობა 2003 წლის იანვარში გაიმართა. თანათავმჯდომარედ ყრილობაზე ამირჩიეს. ამ წლების განმავლობაში ბევრი ისეთი ადამიანი გავიცანი, ან დავუახლოვდი, დღეს ტკბილ, სასიამოვნო მოგონებად რომ მრჩება. ბევრმა ამათგანმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩვენი ხალხის სულიერი სიმდიდრე. წარმოაჩინა, თუ რაოდენ ზნეობრივ განძს ფლობს ქართველი ებრაელობა.

მე თბილისში ვცხოვრობ, ქალაქში, რომელშიც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ებრაელობა დღითიდღე კლებულობს. თუ ადრეულ წლებში ყოველდღე, ლამის ყოველ უბანში, ყოველ ქუჩაზე შეხვდებოდი ებრაელობას, დღეს ასე არ არის: თუ ბეით ქნესეთში არ მიხვედი, ან შენი ყოველდღიური საქმიანობით არა ხარ დაკავშირებული ებრაელობასთან, შესაძლოა, კვირამ ისე ჩაიაროს, ებრაელ კაცს ვერ შეხვდე. მე საქართველოს ქალაქებშიც ხშირად ვარ – ჩემი თეატრალურ-ლიტერატურული ცხოვრების გამოისობით, ყოფნა მიხდება ქუთაისში, გორში, ბათუმში, ახალციხეში და სხვ. ჩემთვის საყვარელ კულაშში ამ რამდენიმე წლის წინათ ვიყავი, როცა ვიღებდით ფილმს „იმ ეშქახეხ, იერუშალაიმ!“ ვიყავი, მაგრამ ის კულაში – ესოდენ ხმაურიანი, გადაძახილ-გადმოძახილით აჟრიამულებული, ბეით ქნესეთისაკენ გაბრწყინებული სახეებით, ან ბეით ქნესეთიდან ღიღინ-ღიღინით, ლოცვით მობრუნებული ადამიანები, ცხადია, ვერსად ვპოვე. ან როგორღა უნდა მენახა — არა მხოლოდ ის ადამიანები წავიდნენ, ეპოქა წავიდა, დღეს სულ სხვა ეპოქაა. და ეს ბუნებრივიცაა: ცხოვრება ყოველწამიერად იცვლება.

აი, ვიდრე მე ეს წინადადება გავასრულე, სამყაროს ცვლილება არ შეწყვეტილა.

როცა აშდოდში, იერუსალიმში, ლუდში, ქართველ ებრაელთა შორის ვიმყოფები, საქმე სულ სხვაგვარადაა – ხომ სხვა თაობაა, ქართველ ებრაელთა სრულიად სხვა გარემოში (გნებავთ, ეპოქაში) მოქცეული გენერაცია, მაინც ის ხმები ჩამესმის – ბავშვობისა, თუ სიყმაწვილის ხმები. უწინარესად, ლოცვის მანერაში შემონახული ინტონაციები. აქ იმასაც ვხედავ, რაც თბილისში, არცთუ იოლი სახილველია – უფროსუმცროსობის, მამა-შვილობის ჩვენთვის ჩვეული ტრადიციის სიცოცხლე. ისრაელის ქართველ ებრაელობაში აშკარად ვხედავ ამ ტრადიციის გაფრთხილება, პატივისცემა, რაოდენ დიდ სამსახურს უწევს ჩვენს ხალხს – როგორ ახანგრძლივებს დროში მის არსებობას.

ბესიკო შალელაშვილი

დროსა და სივრცესთან ებრაელთა მიმართება, ქართველ ებრაელობას ისევე ეხება, როგორც სხვა ქვეყნების ებრაელებს. ვფიქრობ, ამ მიმართებით იგი განსაკუთრებულიც კი არის, რადგან დროში არსებობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა სწორედ მამა-შვილობის, უფროსუმცროსობის ინსტიტუტის ურყევობა გახლვთ.

ეს ზოგადად, ახლა კი კონკრეტულად იმ ადამიანებზე, რომლებსაც კონგრესის მეოხებით დავუახლოვდი, ან სულაც გავიცანი.

მიშიკო მირილაშვილს, ცხადია, ვიცნობდი, მუდამ ღიმილიანი, კეთილი კაცი გახლდათ. მას არ ეწადა კონგრესის პრეზიდენტობა, მით უმეტეს იმ წლებში, როცა ბეხორი შვილი (ამ სიტყვას მიმართავდა ხოლმე) ესოდენ მძიმე მდგომარეობაში ეგულვებოდა, მაგრამ კონგრესიც ერთგვარ მაშველ რგოლად მიაჩნდა, რასაკვირველია, ეს ილუზია იყო, მაგრამ ილუზიებით ცხოვრება ადამიანებისთვის არც ისე უცხოა და იქნებ, სასიკეთოც, ასეთ მკაცრ რეალობაში, როგორშიც ჩვენ ყოფა.

ამავე დროს იგი ერთობ რეალისტი იყო. მოვლენებს ადეკვატურად აღიქვამდა და აფასებდა. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ვნახე ლაღი და უშუალო: 2007 წლის ზამთარში მითხრა ლუდში წავიდეთ, ჩვენი ფილიალის, ქართველ ებრაელთა ქოლელის მუშაობას გავეცნოთო. წავედით. ბევრი რამ დავათვალიერეთ, გავეცანით, ყველაზე დიდ ხანს ქოლელში შევჩერდით, აინტერესებდა, თუ როგორ სწავლობდნენ ახალგაზრდები, იქვე დაასაჩუქრა ქოლელი.

ნაშუადღევს ლუდში მცხოვრებმა მისმა კულაშელმა მეგობრებმა სუფრა გაშალეს. ძალიან ცოტა ღვინო დალია, მაგრამ ყმაწვილკაცობის მეგობრებში ყოფნამ ისე „გახსნა“, იმდენი შინაგანი სილაღე მოჰგვარა, რომ ვხედავდი, თავს კარგად გრძნობდა.

აქ იყო ერთი საყურადღებო გარემოება: მე ხომ ვიცი, მიშიკო, მისი მეგობრები რაოდენ ლაღ ცხოვრებას ეწეოდნენ კულაშში, უბრალო, უშუალო ადამიანები იყვნენ. გამტანობა, პატივისცემა, სიყვარული ახასიათებდათ, შემდეგ დაიწყო რეპატრიაცია. გადაიტანეს ქვეყანასთან ადაპტაციის უმძიმესი წლები, შეიძლება ითქვას, ახალ, უცნობ გარემოში ხელახლა, ერთობ რთულად იწყებდნენ ცხოვრებას, უჭირდათ, მაგრამ წელებზე ფეხს იდგამდნენ და აჰა, ფონს გავიდნენ, დღეს ასე თუ ისე, „მოწყობილი ცხოვრება“ აქვთ, აღარ აწუხებთ ის, რაც ოცი-ოცდაათი წლის წინათ მღელვარების საგანი გახლდათ. დღეს შეუძლიათ დასხდნენ, იქეიფონ, იხუმრონ კიდეც... ასეც იყო. ამ გარემოცვაში მიშიკო ერთობ ლაღად გრძნობდა თავს.

თუმცაღა, ლუდიდან რომ ვბრუნდებოდით, ისევ „თავის რეჟიმს“ დაუბრუნდა, გზაზე ოხრავდა – ბეხორი შვილის პრობლემა მოსვენებას არ აძლევდა.

2008 წელს კრებულ „მენორა — 15“-ის გამოცემა დააფინანსა. მერე „ჯოინთმაც“ ისურვა მონაწილეობა გამოცემის დაფინანსებაში, მორჩენილი თანხა — 1500$ კონგრესს დავუბრუნე, ბ-ნი მიშიკო ღიმილით ამბობდა აქედან გატანილი ფული ბევრი მინახავს, დაბრუნებული — არა.

ბესიკო შალელაშვილი მიშიკოს მეგობარი იყო, მერე მისი მძახალი გახდა – ერთადერთი ქალიშვილი – ირინა--ბესიკოს ვაჟზე – რომანზე გაათხოვა.

ბ-ნი ბესიკო სემკ-ის მოსკოვის განყოფილებას ხელმძღვანელობდა, ყველაფერს გულითადად აკეთებდა, რადგან კონგრესის წარმატებას, ავტორიტეტიანობას ესწრაფვოდა. ბ-ნი ბესიკო იყო ძალზე თბილი პიროვნება, კეთილშობილი. სამუდამოდ დამამახსოვრდა ერთი სურათი: თელ-ავივში ერთ-ერთ წვეულებაზე, ხალხი რომ ცეკვას მიეტანა,ბ-ნი ბესიკო და მისი რძალი—ირინა კუთხეში ისხდნენ, რამდენი სათნოება, პატივისცემა, გამოსჭვიოდა რძალ-მამამთილის ურთიერთობაში. ეს კი ორივეს შინაგან კულტურაზე, აღზრდაზე ლაპარაკობდა.

2008 წელს მამაჩემის გარდაცვალების წლისთავის სუფრაზე ერთობ მოწყენილი სჩანდა. სიტყვა თქვა— გარდაცვლილზე ისაუბრა, მერე უხმოდ იჯდა, პირში ხემსიც არ ჩაუდია. ვკითხე, რატომ არაფერს მიირთმევთ, მოწყენილიც ხართ-მეთქი. „ვერ ვარ გურამ, კარგად, არ შემიძლია“. ვიგრძენი, თავს ეძალებოდა, თორემ არც ამ სუფრასთან ჯდომის ძალი მოსდევდა და უხერხულობა დამეუფლა, ჩემს გამო ატანდა თავს ძალას.

ამის შემდეგ აღარც მინახავს.

ბ-ნი ბესიკო რომ გარდაიცვალა, მიშიკო ერთობ დამწუხრებული გახლდათ--ძლიერ განიცდიდა მეგობრის დაკარგვას. 2009 წლის თებერვალში ბათ-იამის „აუდიტორიუმში“ „მენორას“ 15-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო ტარდებოდა. მე ვუთხარი, პირველი სიტყვა შენ უნდა თქვა-მეთქი.

— არა მაქ, ბიჭო, თავი, ბესიკოს მერე აღარ შემიძლია, ვერ ვარ კარგად — და ეს მისია შვილს — გაბრიელს გადააბარა.

ორიოდე თვის შემდეგ გარდაიცვალა კიდეც.

ზემოთ ვთქვი, მშვიდობიანი ურთიერთობისაკენ მიდრეკილი კაცი იყო-მეთქი. ამიტომ ვერ ჰგუობდა, როცა ვინმეს საძაგებლად გაუბამდნენ საუბარს. „ლაშონ არას“ მოსმენა არ მწადიაო. პასუხსაც კი ვერ პოულობდა. 2005 წელს ნიუ-იორკში ყოფნისას, სასტუმროში ილო იოსებაშვილი და მისი რამდენიმე მხარდამჭერი მოვიდა. ილო იოსებაშვილს ადრე არაერთხელ უთქვამს ჩემთვის: „დამიძახოს მიშიკომ, დამიძახოს კუსომ, ჩამაყენონ ამერიკის კონგრესის სათავეში, ისე ავუწყობ საქმეს, რომ გაეხარდებათ!“. მე ცხადია, თავაზიანად ვუსმენდი, მაგრამ ეს საკითხი ერთხელაც არ დამისვამს. არავითარი სურვილი არ მქონდა რომან ზაკის ოპოზიციონერთა სიაში მოვქცეულიყავი, მას ყმაწვილკაცობიდან ერთობ დადებითად ვიცნობდი და მეორეც: მამა-შვილი მირილაშვილები ძალიან კარგად იცნობდნენ გარემომცველთ და შეეძლოთ არჩევანის გაკეთება. ამას გარდა, უზნეობად მიმაჩნია ასეთი რამ: ის გადააყენეთ და მე დამნიშნეთო.

ახლა, როგორც ჩანს, ი.იოსებაშვილმა გადაწყვიტა, თავად გაეჭედა თავისი ბედი. საღამო ხანს სასტუმროში მოვიდნენ, ფოიეში ვისხედით, ათიოდ წუთში ცხადი გახდა, რა მიზნით მოსულიყო დელეგაცია. იმ საღამოს მე გამაოცა მიშიკო მირილაშვილის ტაქტმა: მთელი საუბარი ისე წარმართა, ვითომ ვერ გაიგო, რატომ, რისთვის მოსულიყვნენ ეს პატივცემული ადამიანები.

დასასრულს, ჩვენს სართულზე რომ ავდიოდით, მიშიკომ ლიფტში მითხრა:

– ჰაა, რას იტყვი, აბრამიჩ, რავარია! – მხრები ავიჩეჩე.

ურთიერთობების გამფრთხილებელი კაცი იყო: 2008 წლის ზამთარში დამირეკა: „რას იტყვი, აბრამიჩ, აჯიაშვილი რომ გენერალურ დირექტორად დაინიშნოს, რავარი იქნება?“ ჩემმა პასუხმა გაახარა: „აგაშენა ღმერთმა!“ მოგვიანებით დ. ბააზოვი მეუბნებოდა: „მკითხა, აჯიაშვილი რომ გენდირექტორად დავნიშნოთ, გურამი რას იტყვისო“, დათოს პასუხს – „კარგად მიიღებს“ – გაუხარებია.

აი, შალვა მარდი კი 1999 წელს გავიცანი, როცა ისრაელში ქართული კულტურის მოღვაწეებთან და სახელმწიფო მინისტრის მოადგილესთან ერთად ჩავედი საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების 2600 წლის ზეიმში მონაწილეობის მისაღებად. სემ კონგრესში მუშაობის წლებში კი უფრო დავუახლოვდი. მხიბლავს ამ ადამიანის ნიჭიერება, ნებისმიერი სიტუაციიდან მყისიერი გამოსავლის პოვნის უნარი. ერთობ გულმხურვალე კაცია, ამიტომაცაა, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში რომ ჰყავს მეგობრები. მომწონს მისი თხრობის ნიჭი. უმაღლესი განათლება მოსკოვში მიიღო. ამიტომ უმეტესწილად რუსულად წერს, ასე ვთქვათ, „პარადოქსულ-ირონიულ პროზას“, იგი ერთობ უბრალოა – იმ ლიტერატურულ პერსონაჟს მაგონებს ხალხის წიაღიდან რომ მოდიან (მაგ. რ. როლანის კოლა ბრუნიონი) და თან მოაქვთ მისი გონებამახვილობა. შეუმცდარი ალღო აქვს, ყველა ნიჭიერი კაცისათვის დამახასიათებელი თვითირონიის გრძნობა, უმალ გრძნობს სიტუაციას. 18 ქართველ ებრაელზე ფილმს რომ ვიღებდით, ვთხოვე იქნებ, თქვენი მოგონება ფირზე ჩაწეროთ და გამომიგზავნოთ-მეთქი. გამომიგზავნა. ისრაელში მითხრეს ტრაბახობს, არა-რა კავშირი გაპონოვთან არ ჰქონდაო.

აბრამ მიხაილი (მიხელაშვილი)

გამახარა მიხეილ ფიზიცკის მიერ ნიუ-იორკში გამოცემულმა წიგნმა. მიხეილ ფიზიცკიმ ისეთ კონტექსტში მოიხსენია შალვასა და ბორის გაპონოვის ურთიერთობა, ბ-ნ შალვას ნაუბარი დადასტურდა.

ერთხელ ნიუ-იორკელმა მეგობარმა კაცმა თემურ იოსებაშვილმა ერთ-ერთ პიროვნებაზე საუბრისას სხარტად თქვა: „სხვის კარგს რომ გაიგებს, ცხრა აბის ღამე უდგება“. სამწუხაროდ, ჩვენს ხალხში არიან ადამიანები, სხვისი სიკეთის მოსმენისას ცხრა აბის ღამე რომ უდგებათ. არავის არ მიაჩნია, რომ ამ სენის მატარებელია, ამ სენით დაავადებულად მეზობელს, კოლეგას, შორეულ თუ ახლო ნაცნობს აცხადებს, საკუთარ სულში კი არ იმზირება. ლამის ყველაზე ქირქილებენ, არავის გაკილვა არ ეზარებათ და ამით თვალნათლივ ადასტურებენ არა მხოლოდ სულმოკლეობას, თავთავიათ უნიგნურობას.

აი, ადვოკატი აბრამ მიხაელი სულ სხვაგვარი პიროვნება გახლავთ – ხშირად შემიმჩნევია, სიხარული სხვათა სიკეთის გამო. კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტში მუშაობის წლებში, უმეტესწილად საღამოობით ვიკრიბებოდით (ადამიანებს თავთავიანთი სამსახური ჰქონდათ) და გვიან ღამემდე ვმუშაობდით. აბრამ მიხაელი ერთობ პუნქტუალური და კორექტული იყო. აბრამმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, თუ როგორია არსი მორწმუნე ადამიანისა – თავშეკავებული, აუჩქარებელი, კეთილისმსურველი. ადვოკატის კონსულტაცია სისტემატურად გვჭიროდა, ყოველგვარი მოულოდნელობის თავიდან ასაცილებლად, ჯერ ადვოკატს მოვეთათბირებოდით და შემდეგ გადაწყდებოდა ესა თუ ის საკითხი. აბრამი ყოველმხრივ ანონილ-დანონილ რჩევას იძლეოდა, იმდენად სკრუპულოზულად განიხილავდა საკითხს, გადაწყვეტილების მიღება აღარ გვიჭირდა.

აბრამ მიხაელის პიროვნული მთლიანობა კარგად გამოჩნდა მაშინ, როცა მოიწადინეს აბრამი ქნესეთის წევრი გამხდარიყო. იგი ერთობ დაახლოებული გახლდათ ისრაელის აღმოსავლეთის ებრაელობის – სეფარდების სულიერ ლიდერებთან, ბუხარის ებრაელთა მსოფლიო კონგრესთან. სწორედ სეფარდ ებრაელთა სულიერ ლიდერს გაუჩნდა იდეა, აბრამ მიხაელი პარტია „შასის“ (აღმოსავლეთის ქვეყნების ებრაელთა რელიგიური პარტია) სიით ქნესეთის წევრი გამხდარიყო. ეს ამბავი კონგრესში რომ გაცხადდა, გავიხარეთ, მაგრამ მოულოდნელობა გველოდა:

აბრამ მიხაელს არავითარი სურვილი არ აღმოჩნდა ქნესეთში შესვლისა. ჩემთვის ეს ძალიან გასაკვირი იყო – მე ხომ იმ ქვეყანაში ვცხოვრობ, სადაც პარლამენტის წევ-რობა ცხოვრების კარგად მოწყობის, წელში გამართვის საშუალება იყო. ამას გარდა, წინ გვედო შაბთაი ცურის მაგალითი, წლების განმავლობაში ამაოდ რომ ცდილობდა გამხდარიყო ქნესეთის წევრი. არაბუნებრივი, მოულოდნელი სწორედ აბრამის პასუხი გახლდათ: არ მწადია პარლამენტის წევრობაო. აბრამი ამ უარს ერთი დამაჯერებელი არგუმენტით ასაბუთებდა: „ჩემი საადვოკატო პრაქტიკით გაცილებით მეტი შემოსავალი მაქვს, ვიდრე ქნესეთის წევრის ხელფასიაო“. სეფარდ ებრაელთა იმდროინდელი სულიერი ლიდერი იძულებული გახდა კონგრესში პარტია „შასის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი გამოეგზავნა, რომ აბრამ მიხაელი ერთად დაგვეყოლიებინა პარლამენტში შესვლაზე.

პარლამენტის წევრს ხალხის მსახურს ეძახიან – სწორედ ასეთია აბრამ მიხაელი – საქართველოს, ადამიანების ქომაგი, გვერდში ამომდგომი. მან შესაშური თანადგომის უნარი გამოავლინა, როცა ისრაელში ჩავიტანეთ ფილმი 18 ქართველი ებრაელის გმირობაზე. ხოლო იერუსალიმში ფილმის პრემიერაზე სერიოზული მოხსენება გააკეთა ამ აქტზე. რაც შეეხება 2008 წლის ომში დაჭრილ-დასახიჩრებულ ქართველ მებრძოლთა ისრაელში მკურნალობის საკითხს, სასახელოდ გაისარჯა.

წელს აბრამი მესამედ გახდა ქნესეთის წევრი. ასეთი პატივი ჯერჯერობით არცერთ ქართველ ებრაელს არ ხვდომია წილად და არც მიკვირს, იგი პასუხისმგებლობის გრძნობით გამოირჩევა, ამიტომ ბუნებრივია, რომ სწადიათ, ასეთი ადამიანი ჰყავდეთ საარჩევნო სიაში.

(გაგრძელება იქნება)

„საქართველო და ებრაელები - ათასწლოვანი მეგობრობა“

4 აპრილს საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმმა გახსნა გამოფენა „საქართველო და ებრაელები — ათასწლოვანი მეგობრობა“. გამოფენა მიზნად ისახავდა სრულად წარმოედგინა ქართულ-ებრაული კულტურული ურთიერთობების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია.

მუზეუმის ეზოში შეკრებილი საზოგადოება, თბილისის სიმებიანი კვარტეტის მიერ შესრულებული ებრაულ ხალხურ თემებზე შექმნილი „მინიატურებით'' ტკბებოდა.

გამოფენა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე, ქალბატონი მანანა ბერიკაშვილი გახლდათ. ღონისძიებას ესწრებოდა თავად მინისტრი, ბატონმა **გურამ ოდიშარიამ**, თავის გამოსვლაში, მსგავსი ღონისძიებების მნიშვნელობაზე და ებრაულ-ქართული მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის შესახებ ისაუბრა, აღნიშნა, რომ ქართველებსა და ებრაელებს ძალიან ბევრი რამ ანათესავებთ — პირველ რიგში, წიგნის სიყვარული და ამ ურთიერთობის შედეგი გახლავთ გამოფენა. ვრცელი სიტყვით მიმართა და შეკრებილ საზოგადოებას ისრაელის ელჩმა ბატონმა **იუვალ ფუქსმა**, რომელმაც ასევე მთავარი აქცენტი გააკეთა იმ მეტად მეგობრულ და თბილ დამოკიდებულებაზე, რაც 26 საუკუნეა ქართველებსა და ებრაელებს შორის გრძელდება. მან მადლობა გადაუხადა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს. საზოგადოებას ასევე სიტყვით მიმართეს საქართველოს მთავარმა რაბინმა, **აბიშაი ბათაშვილმა**, აკადემიკოსმა, საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტმა **როინ მეტრეველმა**, რეჟისორმა **გიზო ჟორდანიამ**. მწერალმა **გივი შაჰნაზარმა** წარადგინა ამერიკაში მოღვაწე ახალგაზრდა ქართველი ებრაელი პოეტის **დათა აჯიაშვილის** წიგნი „ვარ ებრაელი“. მწერალმა, დრამატურგმა **გურამ ბათიაშვილმა** წაიკითხა ესსე, რომელიც საბა კლდიაშვილს ეძღვნება.

მუზეუმის დირექტორმა **გიორგი კალანდიამ**, შეკრებილ საზოგადოებას, ღონისძიების დასკვნითი ნაწილი შესთავაზა - საგამოფენო სივრცეში მიიწვია. უნიკალურ ექსპონატებში გადმოცემული იყო კულტურული ურთიერთობის ბევრი ასპექტი. გამოფენილი გახლდათ ცნობილი ქართველი მხატვრის, პეტრე ოცხელის კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტასა“ და გ. ბააზოვის „მუნჯები ალაპარაკდნენისათვის“ სცენოგრფია, ისრაელის ბიბლიური მეფის დავითის ფრესკისა და მინიატურის ასლები, ებრაელი მხატვრების ლეონ ბაქსტისა და ბორის მესერერის ნამუშევრები, ისეთი გამოჩენილი ებრაელი საზოგადო მოღვაწეების პირადი ნივთები და მემორიალური ფოტოები, როგორიც არიან მაია პლისეცკაია, სერგეი ეიზენშტეინი, ჯაკომო მეიერბერი. ისმოდა ჯ. აჯიაშვილის ხმა — მისი თარგმანების აუდიოჩანაწერები. სტუმრები ექსპოზიციას სახელმწიფო კამერული ორკესტრის „სიმფონიეტას“ მიერ შესრულებული „შინდლერის სიის“ ფონზე ეცნობოდნენ.

მოწვეულმა სტუმრებმა მუსიკისა და დრამის თეატრში გადაინაცვლეს, სადაც წარმოდგენილი იყო მანანა ბერიკაშვილის მიერ დადგმული ისრაელელი დრამატურგის ედნა მაზიას „აკრძალული თამაშები.“ სპექტაკლის დასრულების შემდგომ, საქართველოსა და ისრაელის ჰიმნები შეასრულა კვინტეტმა, რომელმაც განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა. აღნიშნული ღონისძიება „ებრაული კულტურის დღეები საქართველოში“ - ფარგლებში გაიმართა, რომელიც, თავის მხრივ, ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღდგენის 65-ე წლისთავს ეძღვნება.

თამარ აბესაძე

ინფორმაციის დაზუსტება: ზემოთხსენებული სამინისტროსა და მუზეუმის ხელმძღვანელები, თანამშრომლები დიდი პასუხისმგებლობით, პატივისცემით მოეკიდნენ ამ სანაქებო წამოწყებას. აი, ზოგიერთი კი ამ ღონისძიების ჩაშლით იმუქრებოდა – საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის ახლადდანიშნულმა თანათავმჯდომარემ ჯ. ხუხაშვილმა, რა შეიტყო, რომ ღონისძიების პროგრამაში შეტანილია მწერლისა და დრამატურგის – გურამ ბათიაშვილის გამოსვლა, ერთი აურზაური ატეხა: თუ გურამ ბათიაშვილს გამომსვლელთა სიიდან არ ამოიღებთ, ღონისძიებას ჩავშლითო. 3 აპრილს, საღამოს ერთმა ღირსეულმა შემოქმედმა სთხოვა კიდეც გ. ბათიაშვილს იქნებ, თავი შევიკავოთ – სკანდალს თავი ავარიდოთო. მწერალმა ისე როგორც ადრე, პიროვნების დევნის მანიით შეპყრობილ ადამიანებთან გარიგებაზე უარი თქვა. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ კი მის მიერვე შედგენილი პროგრამა ძალაში დატოვა. როგორც კორესპონდენციაში წაიკითხეთ, გ. ბათიაშვილი კიდეც მივიდა ამ ჩინებულ ღონისძიებაზე და თავისი სათქმელიც თქვა.

ჯ. ხუხაშვილი ანალოგიურ ქმედებას ეწეოდა შარშან, როცა კ. მარჯანიშვილის თეატრში გ. ბათიაშვილის პიესის რეპეტიციებს გადიოდნენ. იგი 17 თურმე აკადემიკოსთან, თურმე მწერალთან, თურმე პოეტთან, თურმე კომპოზიტორთან ერთად მივიდა თეატრში და კატეგორიულად განაცხადა: თუ ბათიაშვილის პიესაზე მუშაობას არ შეწყვეტთ, სკანდალს მოვაწყობთ — პრემიერას ჩაგიშლითო.

როგორც მკითხველისათვის ცნობილია, პრემიერა წარმატებით ჩატარდა და მაყურებელი დღესაც უყურებს ამ სპექტაკლს.

როცა გ. ბათიაშვილს რომელიმე საერთაშორისო ებრაული ორგანიზაცია თავყრილობაზე იწვევს, ხუხაშვილი ერთ აურზაურს იწყებს: რატომ იწვევთო. აშშში გამომავალ ებრაულ გაზეთსაც კი მისწვდა, გ. ბათიაშვილთან ინტერვიუ რატომ დაბეჭდეთო.

ახლახანს, მარტში, კი ხუხაშვილის თანამოაბჯრეებმა კვლავ (უკვე მერამდენედ!) მიმართეს საქართველოს თეატრალური საზოგადოების ხელმძღვანელობას გ. ბათიაშვილი ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორის თანამდებობიდან საჩქაროდ მოხსენითო. განცხადებას ხელს აწერენ: **რ. მესენგისერი, გ. პაატაშვილი, დ. ბალუაშვილი** — სემ კონგრესის წარმომადგენელი საქართველოში და სხვ.

როგორც ხედავთ, ჯ. ხუხაშვილი ახლა უკვე სემ კონგრესის თანათავმჯდომარის რანგში განაგრძობს გ. ბათიაშვილის წინააღმდეგ ბრძოლას.

„მენორა“ ჯ. ხუხაშვილსა და კომპანიას მოუწოდებს შეწყვიტონ პიროვნების დევნა.

როგორ ატყუებენ „დავითის ფარის“ რედაქციას და მკითხველს

გაზეთ „დავითის ფარის“ 191-ე ნომერში (აპრილი, 2012) დაიბეჭდა კორესპონდენცია „საზეიმო შეხვედრა“, რომელსაც ხელს აწერენ პროფესორი ნელი ჩაფიძე და ლაურა გორდიევიჩი, მასში, სხვათა შორის, ვკითხულობთ: **„საზეიმო შეხვედრა-საღამოზე ნაჩვენები იქნა კომპოზიტორ გურამ პაატაშვილის ბალეტი, სუიტა „გაზაფხულის ნიავის“ ვიდეო ფილმი, რომლის პრემიერა ლეგენდარული ვახტანგ ჭაბუკიანის დადგმით 1988 წლის 28 დეკემბერს განხორციელებული იქნა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად, როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ. ხოლო ავტორის გურამ პაატაშვილის მუსიკამ გაიჟღერა თითქმის მთელი მსოფლიოს საეთერო გადაცემებში.“**

ნ. ჩაფიძემ „მენორას“ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— „დავითის ფარში“ გამოქვეყნებული სტატია, მე არ მეკუთვნის და საერთოდ ამ გაზეთის სახელი პირველად მესმის.

ვესაუბრეთ ქალბატონ ლაურა გორდიევიჩს, რომელმაც ასევე განაცხადა, რომ მას სტატია არ დაუწერია და „დავითის ფარში“ არ გაუგ ზავნია.

რედაქციისაგან: ქ-ნ ნელი ჩაფიძეს სტატია არ დაუწერია, არ დაუწერია იგი, არც ლ. გორდიევიჩს. მაშ, ვინ დაწერა და გაგზავნა, რედაქცია, მკითხველი ვინ შეიყვანა შეცდომაში?

ინფორმაცია ოპერის და ბალეტის თეატრში გადავამოწმეთ. თეატრიდან მივიღეთ წერილი, რომელშიც ხელმძღვანელობა უარყოფს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში პაატაშვილის ბალეტის დადგმის ფაქტს, ასეთი ბალეტი ჩვენს თეატრში არ დადგმულაო, „მთელი მსოფლიოს საეთერო გადაცემებისათვის“ კი არ მიგვიმართავს.

ისრაელის კინოს დღეები საქართველოში

3, 4, 5 აპრილს, სიმონ ჯანაშიას სახ. ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში, ისრაელის კინოს დღეები გაიმართა. ყოველღიურად წარმოდგენილი იყო 2 კინოფილმი, რომლებიც ბოლო 10 წლის ისრაელის უახლეს კინემატოგრაფს წარმოადგენს, შერჩეული ფილმებიდან რამდენიმე ამერიკის კინოაკადემიის უმაღლეს ჯილდოზე იყო ნომინირებული, წარმოდგენილი ფილმები ფლობენ კანის, ბერლინის, ვენეციის კინოფესტივალის ჯილდოებს. პროგრამა შემდეგნაირად იყო განაწილებული: 3 აპრილი- „ავივა, ჩემო სიყვარულო“(2006) რეჟ: შემი ზარჰინი, „ხუთი საათი პარიზამდე“(2006) რეჟ: ლეონიდ ტრუდოვსკი, 4 აპრილი- „სამყაროს აღსასრულს მარცხნივ გაუხვიე“ (2004) რეჟ: ავი ნეშერი „, ორ (ოქროს გოგო)“ (2004) რეჟ: ქერენ იედაია, 5 აპრილი -“გამარჯობა, მუსიე შლომი“(2003) რეჟ: შემი ზარჰინი, „ და შენ შეირთავ ცოლს“ (2004) რეჟ: რონით ელკაბეცი, შლომი ელკაბეცი. ყოველდღიურად სეანსები 15:30 და 18:00 იწყებოდა.

კინოჩვენებები ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღდგენის 65-ე წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში მიმდინარეობდა.

ისრაელის კინოს დღეებს , ისრაელის ელჩთან, ბატონ იუვალ ფუქსთან ერთად ორგანიზებას უწევდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და სიმონ ჯანაშიას სახ. ეროვნული მუზეუმი. 5 აპრილს შეკრებილთა წინაშე ისრაელის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქათველოში ბატონი იუვალ ფუქსი გამოვიდა. მან ისაუბრა ამგვარი ღონისძიებების მნიშვნელობაზე, საქართველოსა და ისრაელის 26 საუკუნოვან მეგობრობაზე, გამოთქვა სურვილი, რომ ებრაელებმა მეტი იცოდნენ ისრაელის თანამედროვე კულტურის შესახებ და თავის მხრივ, ქართველებსაც მეტი ინფორმაცია ჰქონდეთ ისრაელის თანამედროვე კულტურული ცხოვრების შესახებ, რისი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაცაა კინემატოგრაფი.

ისრაელის კინოს დღეები დასრულდა ფილმით: „და შენ შეირთავ ცოლს“, თუმცა, ღონისძიების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა განაცხადა, რომ ეს არ იქნება ბოლო პროექტი, რომელსაც სამომავლოდ შემოგვთავაზებენ უშუალოდ კინემატოგრაფთან დაკავშირებით.

თამარ აბესაძე

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება საქართველოს მთავარი რაბინი

აბიშაი ბათაშვილი

კედოშიმ

თორაში ყველაფერი აბსოლუტურად ზუსტია. სხვადასხვა ბრძანებებიც კი, რომლებიც ერთიმეორის მიყოლებით არის დაწერილი, საერთო შინაარსით უნდა იყვნენ დაკავშირებულნი ერთმანეთთან. ამიტომ ჩვენ ჩვენი ფარაშის დასაწყისში თანმიმდევრობით მოცემულ ბრძანებებს შორის კავშირი უნდა მოვძებნოთ. თითქოსდა არავითარი კავშირი არ არსებობს მათ შორის: „წმინდანნი იყავით“, „დედ-მამის რიდი გქონდეთ ყველას“ „ჩემი შაბათები შეინახეთ“.

ბრძანებით „წმინდანნი იყავით“ კურთხეული უფალი ჩვენგან მოითხოვს გამორჩეულნი ვიყოთ სხვა ხალხებისაგან („სიწმინდე“ გამომდინარეობს სიტყვა გამორჩევის მნიშვნელობიდან, როგორც ფარაშის ბოლოშიც არის ნათქვამი: „და იყავით წმინდანნი ჩემთვის... და მე გამოგარჩევთ ხალხებისაგან“).

რითი უნდა გამოვირჩეოდეთ არაებრაელებისგან? თუ ვიტყვით, ნათქვამის მიზანი ისაა, რომ თორისა და მიცვების მიხედვით ვიცხოვროთ, აქ ეს მცნება - გამორჩევა ან გამოცალკევება არ შეეფერება, რადგან არაებრაელებს არავითარი შეხება არ აქვთ თორასთან. ნათელია, რომ ეს ბრძანება ეხება იმას, რითიც ებრაელი და არაებრაელი ჰგვანან ერთმანეთს და ზუსტად ამ საკითხებში გვიბრძანებს თორა „წმინდანნი იყავით“. გამორჩეული იყავით მსოფლიოს ერებისგან.

თორის ეს მითითება ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა - ავება, ვაჭრობა და ასე შემდეგ. ამ სფეროებში თითქოსდა არავითარი განსხვავება არ არსებობს ებრაელებსა და არაებრაელებს შორის. ესენიც და ისინიც ჭამენ და სვამენ თავიანთი სხეულის საარსებოდ და დასაქმებულნი არიან ოჯახების რჩენისა და სხვა ამქვეყნიური საჭიროებების საკითხებით.

მიუხედავად ამისა, თორა გვიბრძანებს ჩვენ: „წმინდანნი იყავით“. ჩვენ ამ საკითხებშიც სიწმინდე უნდა დავიცვათ; ვაჩვენოთ, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც უნიკალურობა გააჩნია ებრაელ ხალხს.

კითხვაზე, როგორ შეიძლება წმინდანნი ვიყოთ იმ დროს, როდესაც ამქვეყნიური საქმეებით ვართ დაკავებულნი, თორა პასუხობს ფასუკის გაგრძელებაში: „რამეთუ წმინდანი ვარ მე, თქვენი უფალი ღმ-თი“. ებრაელი, სადაც არ უნდა იყოს ის, კურთხეულ უფალთან არის დაკავშირებული, რომელზეც ჩვენ ვამბობთ: „წმინდანი ხარ შენ“. ამ სიწმინდიდან ის ძალას იკრებს ღვთაებრივი სიწმინდე მოჰფინოს ავების, ვაჭრობის და სხვა ამქვეყნიური საქმიანობის დროსაც.

ამის შემდეგ მოდის ბრძანება: „დედ-მამის რიდი გქონდეთ ყველას“. ბრძანება, რომელიც ისრაელის შვილებისათვის არის განკუთვნილი და გვასწავლის, რომ ებრაული წმინდაყოფა, რაც მთელ ებრაულ ცხოვრებას მოიცავს, მომავალ თაობასაც უნდა გადავცეთ. ადამიანი არ უნდა დაკმაყოფილდეს იმით, რომ თვითონაა წმინდანი, მან უნდა უზრუნველყოს, რომ სიწმინდე შვილებზეც გადავიდეს.

მესამე ბრძანება სრულყოფს თორის ამ ბრძანებას. ეს ბრძანება პასუხს სცემს კითხვაზე - საიდან ვიკრებთ ძალას პირადი წმინდაყოფის ამ დიდი ამოცანისთვის და ამ სიწმინდის მომავალი თაობისათვის გადასაცემად? ამისი პასუხი - შაბათია. შაბათისგან იკრებს ებრაელი ძალას გამორჩეულ იქნეს სხვა ერებისგან, რათა თავის მატერიალურ საქმეებშიც წმინდა იყოს.

მსოფლიოო ხალხების კონცეფცია მიიჩნევს, რომ „უფალმა მიატოვა ქვეყანა“ და ბუნებრივი ელემენტების ხელთ დატოვა ის. ამის საპირისპიროდ, შაბათი ცხადყოფს ებრაულ რწმენას სამყაროს განახლებითა და გამჩენის მუდმივი განმგებლობით.

უფალი ჩვენსა და უფალს შორის შეთანხმების ნიშანია და ის გვახსენებს მუდამ, რომ ბუნებაც კურთხეული უფლის განკარგულებაში იმყოფება. შაბთს ძალა შესწევს ყოველდღიური ცხოვრების ყოველ ასპექტს მოჰფინოს სიწმინდე და ეს ცნობიერება ბავშვებშიც ჩანერგოს.

15 წლის შემდეგ

ლოცვა ახალციხის ბეით ქნესეთში

8 აპრილს დილის 7 საათზე თბილისის ქართველ ებრაელთა დიდი ბეით ქნესეთიდან მლოცველთა ჯგუფი ახალციხისკენ გაემგზავრა. ახალციხის ახლად შეკეთებულ სინაგოგაში, 15 წლის შემდეგ, პირველად ჩატარდა ლოცვის რიტუალი. ახალციხის სინაგოგა ერთ-ერთი უძველესია საქართველოში. ის XVIII საუკუნის 60-იან წლებშია აგებული. გზაში გაზეთი ვესაუბრეთ ქართველ ებრაელთა ბეით ქნესეთის გაბაის მოვალეობის შემსრულებელს ფირუზ კოჩობაშვილს. გთავაზობთ მცირე ინტერვიუს:

- ბ-ნ ფირუზ, რა მნიშვნელობის მატარებელია დღეს ჯამაათის წევრების ახალციხეში ჩამოსვლა?

- როდესაც თბილისის დიდი სინაგოგის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დავიწყე, აქ რემონტი მიმდინარეობდა. მაშინვე დაისვა საკითხი, გარემონტებულიყო ახლაციხის სინაგოგაც, რომელიც ერთ-ერთი უძველესია საქართველოში. ის დაახლოებოთ XVIII საუკუნის 60-იან წლებშია აგებული. მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ გადავწყვიტეთ, ჩამოვსულიყავით და ლოცვა ჩაგვეტარებინა 15 წლის შემდეგ.

- როგორც ცნობილია, პრემიერ მინისტრმა, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა დააფინანსა რელიგიური ორგანიზაციები, გამოიყო თუ არა თანხა სინაგოგებისთვის?

- რამდენიმე თვის წინათ ბეით ქნესეთში ბატონი ბიძინა მოვიდა. მან იკითხა, თუ რით შეეძლო ჩვენი დახმარება. არანაირი ფინანსური მხარდაჭერა არ გვითხოვია. საუბრიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, ჩვენთან მოვიდა „ქართუ — ცენტრის'' წარმომადგენელი. ამ დროს ჩვენი ბეით ქნესეთის რემონტი გაჩერებული იყო უსახსრობის გამო. მათ თავიანთ თავზე აიღეს სარემონტო სამუშაოების დასრულება. ეს დაპირება შეასრულეს კიდეც. „ქართუ — ცენტრის'' წარმომადგენელმა ასევე მთხოვა, მომეკრიბა ცნობები საქართველოს სინაგოგების შესახებ თუ როგორ მდგომარეობაში იყვნენ ისინი. მოვინახულეთ რამდენიმე სინაგოგა. მათი სურვილია, აპრილის ბოლოდან დაიწყოს იმ სინაგოგების შეკეთება, რომელიც მწყობრიდან არის გამოსული, იქნება ეს კაპიტალური, თუ სხვა სახის სარემონტო სამუშაოები.

- ახალციხის სინაგოგა ვინ შეაკეთა?

- იგი ებრაელი მეცენატის დაფინანსებით შეკეთდა, მანვე უზრუნველყო თბილისის დიდი სინაგოგის ნაწილობრივი რემონტი, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, დაასრულა „ქართუ — ცენტრმა'', ხოლო რაც შეეხება დაფინანსებას, მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ არანაირი თანხა არ მიგვიღია.

- სულ რამდენი სინაგოგაა საქართველოში და მათგან რამდენია მოქმედი?

- ამჟამად საქართველოში 10-11 სინაგოგაა. ზოგიერთი მათგანი დგას, როგორც კაპიტალური შენობა, ზოგი ჩამონგრეულია, მოქმედი არის მხოლოდ ოთხი, აქედან 2 თბილისში, 1 გორში და ერთიც ქუთაისში.

- სისტემატიურად ჩატარდება თუ არა აქ, ახალციხის სინაგოგაში რიტუალები? არის აქ მრევლი?

- ახალციხეში დარჩენილია სულ 7 ებრაელი, ამიტომ რიტუალები ვერ შესრულდება, თუ არ იქნება მსგავსი გასვლითი მოლოცვები. სინაგოგების აღდგენის შემდეგ ჩვენ აუცილებლად ჩავალთ ონის სინაგოგაში, რომელიც უნიკალური ძეგლია, ასევე ფოთში, ბათუმში და ყველა აღდგენილ სინაგოგაში და ჩავატარებთ რიტუალებს.



თამარ აბესაძე

ისაკ მიხელაშვილი

არდავიწყება

მომენატრა ჩემი ეზო, ჩემი ოდა ფიცრული.
მომენატრა მეზობელი, ბიჭი
ძმადშეფიცული.
მომენატრა ჩემი ქუჩა, ჩემი უბნის ანცები,
მომენატრა მეგობრები და სუფრის
ძმაკაცები.
მომენატრა მტკვრის დუდუნი,
თბილისის ზღვის ტალღები,
ჟრიამული მომენატრა
რძეშეუშრობ ბალღების.
მომენატრა ტყემლის ძირში „ტყემლის
ბიჭთა“ ღრეობა,
მომენატრა გულგაშლილი
სტუმართმოყვარეობა.
მომენატრა დედის ნანა, დალოცვილი
განგებით,
მომენატრა განთიადზე დუდუკების
ჰანგები;
მომენატრა წინაპართა სასაფლაოს
კარები,
მომენატრა ანანურზე ჩამოკრული
ზარები.
მომენატრა თონის ძირში ნაღვერდალის
ტკაცუნი,
სადღეგრძელო მომენატრა აზრიანი,
კაცური.
მომენატრა კეცზე მჭადი ალვის ფოთლის
კაბაში,
მომენატრა შოთის პური, სიფრიფანა
ლავაში.
მომენატრა რუსთაველი, აკაკი და
ილია,
ფიროსმანი მომენატრა –
ფერებდალოცვილია.
გრიშაშვილი მომენატრა, მისი
სიტყვის მირონი,
მომენატრა „ლურჯა ცხენით“ დიდი
გალაკტიონი.
მომენატრა იალბუზი, მყინვარწვერის
კალთები,
მომენატრა თერგის ჩასწვრივ ვიწრო
გზების ხლართები.
მომენატრა თელავი და მცხეთის
სვეტიცხოველი,
მის გუმბათქვეშ უცხოშვილი სალოცავად
მოვედი.
საქართველოვ,
ერთს მოგმართავ,
მოწიწებით,
ვედრებით,
შეინახე ძველ
ციხეთა დანგრეული
კედლები.
ქართლ-
კახეთო, იმერეთო,
გურიავ,
სამეგრელოვ,
ერთნაირად
საყვარელო,
ერთნაირად
დღეგრძელო,
შენი შვილი მოგიკითხავს, სალოცავო
მთაწმინდავ,
ერთი შენთან ჩამაკონა, სხვა სიკეთე არც
მინდა.
მომენატრა შენი ზეცა, შენი
მინდორ-ველები,
ნუ დამძრახავ, თუ სიყვარულს ვერასდროს
შეველევი.

8 აპრილს თბილისში, ქარვასლაში გაიხსნა გამოფენა „იერუსალიმი. წარსული და მომავალი“. გამოფენა მოაწყეს ისრაელის საელჩომ საქართველოში და საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა.

დინა რატნერი

მაშინ მე მხოლოდ ვიწყებოდი

(დასასრული. დასაწყისი იხ. „მ“ №1,2,3)

თამრიკო გაჩუმდა. შუაღამე კარგა ხანია გადასულიყო. მყუდრო, მაგიდის ნათურის მკრთალი სინათლით განათებულ სამზარეულოში ვსხედვართ, თითქოს ბნელ კიდობანში მოვკალათებულვართ ერთნაირი ბედის მქონე ორი ქალი. და მე თბილისში არა მარტო სახლები, ქუჩები, განთიადი და დაისი გავიცანი, არამედ ადამიანიც და მასში ჩემი თავი შევიცანი — სიცოცხლის სიგრძის ომის ორი ჯარისკაცი.

თამრიკო ხმადაბლა და აუჩქარებლად კითხულობს გალაკტიონის ლექსს:

რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები,
მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი -
ხელუხლებელი, როგორც მზის სხივი,
მიუწვდომელი, როგორც ედემი!
და თუ არა ხარ ის, ვისაც ვფიქრობ,
მე დღეს არ ვნაღვლობ, დაე, ვცდებოდე,
ავადმყოფ გულს სურს, რომ მას ოცნების
თეთრ ანგელოზად ევლინებოდე.
დაიწვას გული უცნაურ ტრფობით,
ცრემლით აღივსოს ზღვა - საწყაული
ოღონდ, მჯეროდეს მე ჩემი ბოდვა
და სიყვარულის დღესასწაული!

კედელზე რბილი დარტყმის ხმა მოგვესმა. მე და თამრიკომ ერთმანეთს გადავხედეთ. ხმა ისევ განმეორდა — „ტუკ“, მერე კიდევ, და რამდენიმე წამის შემდეგ, თითქოს მიწიდან ამოიზარდაო, ფანჯარაში გოჩა გამოჩნდა.

— შემოდი, რაკი მოხვედი, — გასძახა თამრიკომ.

— ვხედავ, ფანჯარაში სინათლეა, ვიფიქრე, შევალ, რაკი არა სძინავთ–მეთქი. ბაღი გაჩახჩახებულია, მთვარი პროჟექტორივით ანათებს და სანამ ყველა მილიციელი ტკბილ ძილს მისცემოდა, ვისარგებლე და საზოგადოებრივი საკუთრება მივითვისე, — და გოჩამ პატარა ბიჭივით ამოსვრილი ხელებით ჯიბიდან მუჭა-მუჭა მწვანე კაკლის ამოღება დაიწყო. — წამოდით, მთაში გავინავარდოთ, — მოულოდნელად შემოგვთავაზა მან.

ზედმეტი ხვეწნა არ დასჭირვებია. გოჩას მანქანა, ცისფერი, ძველი მარკის „მოსკვიჩი“, იქვე, ალაყაფის კარებთან იდგა. მე და თამრიკო დაცხავებულ სავარძელზე მოვკალათდით და მანქანამ ცარიელ ქუჩებში ქარივით გაიქროლა.

სიბნელე ნელ-ნელა გამჭვირვალე ხდებოდა, გზის გასწვრივ დარგულ ხეთა მოხაზულობაც უფრო და უფრო იკვეთებოდა. თითქოს ეს-ესაა გზა უნდა დასრულდეს, დედამიწას მოვწყდეთ და ცისკრის ვარსკვლავისკენ გავფრინდეთ. დაღმართები, მოულოდნელი აღმართები, კვლავ ქვემოთ მივქრივართ, მთები ჯერ გვიახლოვდებიან, შემდეგ უკან იხევენ. აქა-იქ პატარ-პატარა ველებზე სოფლებია მიბნეულ-მობნეული, ჩვენ მათ ზემოდან დავცქერით და გვეჩვენება, თითქოს ღმერთიც ზემოდან დასცქერის დედამიწას და თავის ნამოღვაწარს შეჰხარის. მართლაცდა, ღმერთმა ადამიანებს ყველაფერი მისცა: მზე, წყალი, ნოყიერი მიწა. საქართველოში ამბობენ: „ჩიტი მიფრინავდა, მარცვალი ჩამოუვარდა და ამ მარცვლიდან ხე გაიზარდაო“. ჰოდა, ღმერთსაც ჰგონია, რომ ადამიანები კარგად ცხოვრობენ, მაგრამ ადამიანებს უმძიმთ ცხოვრება. ნამდვილად უმძიმთ.

ჩვენ წყვდიადით მოსილ ფლატესა და მომწვანო რიჟრაჟით მოცულ ცას შორის მივქრივართ. მოშიშვლებული კლდის წვერზე ტანკენარი ნორჩი ფიჭვის ხე მოსჩანს. საიდან იკრებს ის ძალებს? არც მიწაა იქ და არც შესაფერისი სინოტივე. ალბათ, ცის სიახლოვე ათამამებს. კლდიდან გზაზე უშველებელი ლოდი გადმოკიდულა.

— ხომ შეიძლება მოწყდეს, — შთაბეჭდილების გამო თავს ვერ ვიკავებ.

— შეიძლება, — დამიდასტურა გოჩამ და მოულოდნელად ძლიერ დაასიგნალა, — ვიწრო გზაა, — აგვიხსნა, — და თუ მოსახვევს იქიდან მანქანა მოდის, ერთმანეთს გვერდს ვერ ავუქცევთ.

სავარძლის საზურგეს უღონოდ მივეყრდენი. აქ, უფსკრულის პირას, ცოტა რამაა ადამიანზე დამოკიდებული, ყველაფერს შემთხვევა წყვეტს.

მთაში, რაც უფრო ზემოთ ავდივართ, მით მეტად ნათდება და ჩვენს წინ მეტი სივრცეც იშლება, თითქოს ღამიდან გამოვცურეთ. მოულოდნელად გზა ძროხების ნახირმა გადაგვიღობა.

— რა პატარები არიან, — გავვოცდი მე.

— მთის ძროხებია, — ამიხსნა თამრიკომ.

ერთიმეორის მიყოლებით მიმავალ ყავისფრად და წითლად მბზინავი ძროხების ნაკადს თითქოს ბოლო არ უჩანს. ძროხებს მამონტებივით ვეებერთელა, ახალ მთვარესავით გრეხილრქიანი კამეჩები მოჰყვებიან. კამეჩები ზანტად და მძიმედ თავდახრილნი მოდიოდნენ, თითქოს შემთხვევას ელოდნენ, რომ თავისი ძლიერი შუბლით რამე დაეფლითათ. მოშორებით მდგარი განაბული ძაღლი გენერალივით თითქოს აღლუმს იბარებდა. ბოლოს მაღალ, რუხ ულაყზე თავადივით ამაყად მჯდარი მწყემსიც გამოჩნდა. მოშიშვლებული, მზეზე გარუჯული მკერდი, სვანური ქუდის ქვეშიდან ჩამოშლილი ჭაღარა კულულები, სხარტი, ცოცხალი, დაკვირვებული გამოხედვა; ნატიფი, ძველებურ ხატებზე გამოსახული წმინდანების მსგავსი სახე. გოჩამ ქართულად ხმამაღლა რაღაც უთხრა, მივიდა მასთან, გამოელაპარაკა და მხიარული დაგვიბრუნდა. მივხვდი, რომ ამ მოლაპარაკებაზე იყო ჩვენი გეგმები დამოკიდებული, მაგრამ არაფერი მიკითხავს. აქ, მთაში, მამაკაცთა კანონებია ძალაში. გოჩამ მანქანა გზის პირას აზიდულ კლდეს მიაკრა და მთის მწვერვალისკენ ფეხით გაგვიძღვა. გარშემო ვეებერთელა წიფლები და აშოლტილი, მაღალ-მაღალი ნაძვებია. საიდან აქ ტყე? ფესვები ხომ მწირ ნიადაგში აქვთ გადგმული, ნიადაგი კი ქვიანია. ნუთუ, ჰაერით იკვებებიან? ფეხქვეშ ხასხასა მწვანე ხავსიდან უფრო ნაზი სიმწვანით მოკიაფე ნაძვების აღმონაცენები იმზირებიან.

— საცოდავები, — იხრება გოჩა ნორჩი ამონაზარდებისკენ, — მათ მზე არ ჰყოფნით, — და ცაში აზიდული ხეების კენწეროებს ახედავს.

დროდადრო მიწაში ღრმად ჩამჯდარი ქვები გვხვდება და მოსკოვის გარეუბნებში ნანახი კუნელის მსგავსი, ველური კენკრის ბუჩქებიც. წყარომდე ავედით. ბრტყელი ქვიდან წყალი წვრილ ნაკადად გადმოედინება.

— სამკურნალოა, — ამბობს გოჩა, — ეს ქვა აქ საუკუნეების წინათ დაუდია ვიღაცას.

გარშემო მიმოვიხედე. აქ ცა დედამიწას ერთვის. იქნებ, სწორედ აქ დაიწყო სამყაროს შექმნის განთიადი! ქართულ ეპოსში ღმერთი ადამიანის სახით იყო წარმოდგენილი, ადამიანი კი — ღვთიური სახით. ღმერთთან მებრძოლი ამირანი მსგავსია ღმერთის ანგელოზთან მებრძოლი იაკობისა — ძველი აღთქმიდან. ქართველი ფილოსოფოსის, იოანე პეტრიწის XI საუკუნის მოძღვრების მიხედვით, გონება, სული, სამყარო — ერთიანის ემანაციაა. პირველმიზეზისა და ყოფიერების შერწყმა ცოცხალი ბუნებისა და ადამიანის ჩამოყალიბებას ვარაუდობს. ებრაელთა მოლოდინი მომავალი მესიისა, როდესაც მიწიერი სამეფო ზეციურ სამეფოს დაემსგავება, სამყაროს გააზრების ქართული ფილოსოფიის კლასიკური ფორმის ანალოგიურია. ეს აერთიანებს სულიერ საწყისს მატერიალურთან და ადამიანის კონკრეტულ (კონკრეტული ადამიანის)(?) დამოკიდებულებას სამყაროსთან. „სიკეთის კეთება სჯობს ცხოვრების ლოცვასა და მარხვაში გატარებას“, — იხსენებენ ქართველები იუდეველ ბრძენთ.

წყაროს ნაკადს პეშვს ვუშვერთ და ვსვამთ, ვსვამთ. მოულოდნელად ვამჩნევ: გვერდით წეღან შეხვედრილი მწყემსი გვიდგას და ჩვენს ფაციფუცზე ეღიმება. ჩემდაუნებურად, ჩემი შიშველი ფეხებისა და მოშიშვლებული მკლავების გამო შევცბუნდი. მწყემსმა რაღაც გადაულაპარაკა გოჩას და დიდ, ბრტყელ ქვაზე ტომრიდან სანოვაგის ამოლაგება დაიწყო; ერთგვარი სუფრა გაიშალა ულევი, მაცოცხლებელი წყლითურთ. მე და თამრიკოს თავი სამეფო ნადიმზე გვგონია.

კაცები ცეცხლზე მწვადს წვავენ, ყველსა და მწვანილს აწყობენ. მე კი სულ სხვა სურათი მესახება: მწყემსი სახლს აშენებს, სადაც მე და მას მშვიდობა, სიყვარული გვექნება და ბევრი შვილები გვეყოლება. ვითომდა მე სულაც არ ვარ ფილოსოფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და სიამოვნებით ვიტყოდი კიდეც უარს გერმანიაში, დიდი ხნის ნანატრ, ჰეგელისადმი მიძღვნილ კონგრესზე გამგზავრებაზე ... მე ბედნიერი ქალი ვარ..არ მინდა ცხოვრების ფილოსოფიური განსჯა... მინდა, რომ უბრალოდ, ვიცხოვრო...

თარგმანი ლია ყანჩაველისა

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ, ვახტანგ VI ქ. №30
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 / მ-557
9771987898003